საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორგანო

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 4 | სამშაბათი, 11 დეკემბერი, 1990. | ფასი 8 კაპიკი.

არჩევნები სამხრეთ ოსეთში

9 დეკემბერს სამხრეთ ოსეთში საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მიმართვისა და საქართველოს რესპუბლიკის პროკურორის განცხადების მიუხედავად, გაიმართა ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ანტიკონსტიტუციური არჩევნები.

გათვალისწინებული იყო, რომ ოლქის ტერიტორიაზე გაიხსნებოდა სამოცდათხუთმეტი საარჩევნო ოლქი, მაგრამ წინასწარ გახდა ცნობილი, რომ ცხინვალის რაიონში ჩვიდმეტიდან ოთხ სოფელში — კეხვში, ქურთაში, ქემერტაში, ერედვში და ლენინგორის რაიონის ათიდან სამში ლარგვისში, კორინთაში, იკოთში ისინი არ გაიხსნებოდა. ეს ქართული მოსახლეობის კომპაქტური დასახლების ადგილებია. ამ სოფლების მოსახლეობამ უარი თქვა არჩევნებში მონაწილეობაზე, მიიჩნია ისინი უკანონოდ.

არჩევნების ორგანიზატორთა მოწვევით სამხრეთ ოსეთში იმყოფებოდა მეთვალყურეთა ჯგუფი ცხრა კაცის შემადგენლობით — დემოკრატიული საზოგადოებრივი მოძრაობის „მარი-უშემის" თათართა საზოგადოებრივი ცენტრის, უდმურტული კულტურის საზოგადოების, ყარაჩაი-ჩერქეზეთის სს რესპუბლიკის საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ადიღე ხასეს", ყაბარდო-ბალყარეთის სს რესპუბლიკის, აფხაზეთის სახალხო ფორუმის „აიდგილარას" წარმომადგენლები.

რიტა დოლიძე,
სს „საქართველოს" კორ.

წერილები სამაჩაბლოდან

მოგვყავს ნაწყვეტი მოსკოვში გამომავალი გაზეთის „ირ"-ის ინფორმაციიდან. ეს გაზეთი არის ოსი ახალგაზრდობის კავშირის „ირ"-ის ორგანო. ინფორმაცია დაბეჭდილი იყო 1990 წლის თებერვლის (№№ 4-5) გაზეთში. აქვე ქვემოთ შემოგთავაზებთ ზუსტად ამავე პერიოდში სკკპ ცკ გენერალური მდივნის მ. გორბაჩოვისადმი და საქ. კპ ცკ პირველი მდივნის გ. გუმბარიძისადმი მიმართულ მოსახლეობის განცხადებას. ტყუილ-მართალი მკითხველმა თავად გაარჩიოს.

«...Грузинский неформалитет перешел к «конституционным» методам борьбы. Было состряпано обращение в высшие республиканские и союзные инстанции с требованием ликвидации Юго-Осетинской АО, якобы выражающее мнение большинства лиц осетинской национальности, проживающих в республике за пределами Юго-Осетинской АО. Несмотря на шантаж и угрозы, кампания по сбору подписей, начавшаяся в начале этого года в Тбилиси, провалилась: удалось собрать всего несколько подписей».

სკკპ ცკ გენერალურ მდივანს
მ. ს. გორბაჩოვს

საქ. კპ ცკ პირველ მდივანს გ. გუმბარიძეს

ჩვენ, საქართველოში მცხოვრები ოსები ვგმობთ ცხინვალში შექმნილი სეპარატისტულ-ტერორისტული ორგანიზაციის „ადამონ ნიხასის" მოქმედებას, მიგვაჩნია იგი ოსი ხალხის მტრად, ვინაიდან მიზნად ისახავს ოს და ქართველ ხალხებს შორის ძმათამკვლელი ომის გაჩაღებას, ჩვენ დამღუპველად მიგვაჩნია ოსი ხალხისათვის ე. წ. „სამხრეთ ოსეთის" ავტონომიური ოლქის არსებობა საქართველოს ტერიტორიაზე, ისტორიულ შიდა ქართლში, ვინაიდან ეს არის მთავარი მიზეზი ოს და ქართველ მოსახლეობას შორის კონფლიქტისა. საქართველოში ოსეთი არ არსებობს, არსებობს მხოლოდ ოსური დასახლებები, რომელთაც არ სჭირდება ავტონომია. ყოველივე ამის გამო მოვითხოვთ:

1. აიკრძალოს „ადამონ ნიხასის" საქმიანობა, გაუქმდეს იგი და მისი წევრები გამოცხადდნენ ოსი ხალხის მტრებად.
2. გაუქმდეს ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი.
3. გაუქმდეს როკის გვირაბი.

ფატიმა ცხოვრებოვა, მერი სიუკაევა, ჩალინა ალბოროვა, ზალინა თიბილაშვილი, მზია ძაგოევა, ეთერ კარმაზოვა, მზია ბიჩინოვა, მანანა კულუმბეგოვა, სონა გაბარაევა, ევფროსინე გაბარაევა, ტანია მარღიშვილი, ნორა ძოგესაშვილი, ნინო კარმაზოვა, ნუნუ გასიშვილი, მაია ჯურანაშვილი, ზინა ბესტავაშვილი, ვალერი გასიშვილი, მზია ქერდუყაშვილი, მათე გაგლოევი, ზვიად ჯიოშვილი, ნათელა მარღიშვილი, ნანული ზასოხაშვილი, მარინე ქელეხსაშვილი, ლეილა ხაბელაშვილი, ლამარა ქუმსიშვილი, მარიამ გაბარაშვილი, ლიანა მარღიშვილი, ეკატერინე კაბელოვა, ზურაბ კაბულაშვილი, სონია ბესტავაშვილი, ბადრი ჯაგიევი, მერი გასიევა, სერგო თედეშვილი, ზურაბ გუჩმაზოვი, იაშა ჯიოევი, მარინა გაგლოევი, ანა ხახალაშვილი, ლამარა სანაკოევა, ვალია ბზიკოვა, რემსო ხატკოევი, ნოდარ ფილიშვილი, სოსო სოტიევი, ალექსი პლიევი, მერაბ გაგიევი, გოგი ქელეხსაევი, გია თეგეტაშვილი, თამაზ ვალიშვილი, ალექსი ვალიშვილი, ზურაბ ბედოშვილი, სოსო გაგლოევი, ვალიკო კაგულაშვილი, ზურაბ ბედოშვილი, ფარზუმა ელბაქიძე, ჟორა მარღიშვილი, ალიკა თიბილაშვილი, ვანო მარგიევი, ნოდარ კახულაშვილი, ვლადიმერ ზავლოხოვი, ვახტანგ გაბარაშვილი, ოთარ ჟულუმბეგაშვილი, ლუარსაბ კაბულაშვილი, ჟორა კოკოევი, ვალიკო ბესტაევი, ნელი გაზაშვილი და სხვ. (ასობით ხელმოწერა).

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ ზვიად გამსახურდიას

ისტორიული შიდა ქართლის ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ქართველი მოსახლეობის მიმართვა

ბატონო თავმჯდომარევ, მოგეხსენებათ, რომ მიმდინარე წლის 20 სექტემბერს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭომ მიიღო დადგენილება „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიულ რესპუბლიკად" გარდაქმნის შესახებ. დადგენილება არის მცდელობა იმისა, რომ საქართველოს რესპუბლიკის მიწა-წყალზე შეიქმნას ოსური დამოუკიდებელი სახელმწიფო. დადგენილება საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა გააუქმა 1990 წლის 21 სექტემბერს, მაგრამ საოლქო საბჭოს მეთხუთმეტე სესიამ დაადასტურა თავისი წინა გადაწყვეტილება და აირჩია ეგრეთ წოდებული „სამხრეთ ოსეთის დემოკრატიული რესპუბლიკის აღმასრულებელი კომიტეტი" და მიიღო დროებითი დებულება უზენაესი საბჭოსა და ადგილობრივი საბჭოების არჩევნების ჩატარების შესახებ. არჩევნები დაინიშნა 9 დეკემბრისათვის. გარდა აღნიშნულისა სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკის აღმასრულებელმა კომიტეტმა კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა — ამჯერად ოსეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნა შემოგვთავაზა.

საქართველოს რესპუბლიკის დღევანდელმა უზენაესმა საბჭომ მიმდინარე წლის 22 ნოემბრის დადგენილებაში — „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს მიერ ოლქის სტატუსის შეცვლის თაობაზე, მიღებულ გადაწყვეტილებათა შესახებ" — დაადგინა, რომ გაუქმდეს საოლქო დეპუტატთა საბჭოს დადგენილება ავტონომიური ოლქის დემოკრატიულ რესპუბლიკად გარდაქმნის შესახებ და იქიდან გამომდინარე მის მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება, მათ შორის 1990 წლის 9 დეკემბრისათვის არჩევნების დანიშვნისა და ჩატარების შესახებ.

9 დეკემბრამდე ცნობილი გახდა, რომ ეგრეთ წოდებული ოსეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობამ ანგარიში არ გაუწია 22 ნოემბრის დადგენილებას და 9 დეკემბერს რეგიონის მთელ რიგ უბნებში ჩაატარა უზენაესი საბჭოს არჩევნები.

ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ არაკონსტიტუციურ საფუძველზე შექმნილი ეგრეთ წოდებული ოსეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, მისი უზენაესი საბჭოს არჩევნები ყოველგვარ ზნეობრივ საზღვრებს სცილდება. ეს არის არა მარტო ოლქის მაცხოვრებელი ქართველი ხალხის კანონიერი უფლებების შეზღუდვა, შელახვა, არამედ სრული პოლიტიკური ექსპროპრიაცია, საქართველოს სახელმწიფოებრიობის ადმინისტრაციული და ტერიტორიული ხელყოფის ცდა, ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობისა და მისი ისტორიის უგულებელყოფა.

ოლქის ქართველი მოსახლეობის დისკრიმინაციითაა გამოწვეული, რომ რამდენიმე დღის წინ ჩატარდა ცხინვალის რაიონის მოსახლეობის თავყრილობა. ქართველმა მოსახლეობამ არადამაკმაყოფილებლად შეაფასა როგორც რაისაბჭოს, ისე საოლქო საბჭოს აღმასკომების მუშაობა, მათ სრული უნდობლობა და დაუმორჩილებლობა გამოუცხადა.

ბატონო თავმჯდომარევ, ოლქში მაცხოვრებელ ქართველობას კარგად გვაქვს შეგნებული და გათვითცნობიერებული, თუ საქართველოს რესპუბლიკის ახალ პარლამენტს როგორ რთულ პოლიტიკურ ვითარებაში უხდება ჩვენი ერის, მთელი რესპუბლიკის სასიცოცხლო პრობლემების გადაჭრა. მაგრამ ამასთანავე შევნიშნავთ, რომ სახალხო დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომს დღემდე კანონიერი არც თავმჯდომარე და არც მოადგილეები არ ყავს. ოლქი უპატრონოდ არის მიტოვებული და მას სეპარატისტული ძალები წარმართავენ. ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საკითხი არც ერთ გადასაწყვეტ პრობლემაზე დაბალი პოლიტიკური მნიშვნელობისა არ არის. ღრმად გვწამს, რომ ჩვენი მიმართვა უახლოეს ხანში განხილული იქნება უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე და არსებული მდგომარეობის გამოსასწორებლად დაისახება კონკრეტული, ქმედითი ღონისძიებები, თორემ რეგიონში დღითი დღე იძაბება ეროვნებათშორისი ურთიერთობები, რასაც შეიძლება ბევრი გაუთვალისწინებელი შედეგიც მოჰყვეს.

საკუთარ სახლში

ნაბიჯი თანხმობისაკენ

8 დეკემბერს საქართველოს მწერალთა კავშირში ერთმანეთს შეხვდნენ პოლიტიკური გაერთიანებების მრგვალი მაგიდის წარმომადგენლები, უზენაესი საბჭოს დეპუტატები და საქართველოს ეროვნულ კონგრესში შემავალ პარტიათა წარგზავნილები.

მართალია, შეხვედრის დასაწყისში საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა კამათი ორი მხარის უფლებამოსილებათა, განცხადებების გაკეთების, გადაწყვეტილებების მიღების უფლებათა გამორკვევასთან დაკავშირებით, მაგრამ შემდეგ თანამოსაუბრეებმა თვითონ აღიარეს, რომ საქართველოს ისტორიის ამ პასუხსაგებ მომენტში ხალხის ნება, როგორც თეიმურაზ ქორიძემ აღნიშნა, ყოველგვარ პარტიულ ინტერესებზე მაღლა უნდა იდგეს.

შეხვედრის მონაწილეთა აზრები დაემთხვა შიმშილობის აქციების შეწყვეტის ყოველმხრივი ხელშეწყობის საკითხშიც, რომლებიც აძლიერებენ დაძაბულობას საზოგადოებაში, ჰუმანურობის მოსაზრებანი საშუალებას არ გვაძლევს გავაჭიანუროთ შექმნილი მდგომარეობის გადაჭრა, ამბობდნენ თეიმურაზ სუმბათაშვილი, ირაკლი წერეთელი და სხვები. აზრთა გაზიარების შემდეგ გადაწყდა შეიქმნას პარიტეტული კომისია ორივე მხარის, აგრეთვე საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან, რომელიც შეისწავლის არაოფიციალურად არსებულ შეიარაღებულ ფორმირებებთან დაკავშირებულ საკითხებს. ამ კომისიის პირველი სხდომა ნავარაუდევია გაიმართოს 13 დეკემბერს 12 საათზე, კვლავ რესპუბლიკის მწერალთა კავშირში.

ამავე დროს, დააზუსტა ნუგზარ მოლოდინაშვილმა, ამა თუ იმ პირის მიერ ჩადენილი სამართალდარღვევის თითოეული შემთხვევა შემდგომშიც უნდა განიხილონ შესაბამისმა კომპეტენტურმა ორგანოებმა. მანვე, მაშველთა კორპუსის გაუქმების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით ნუკრი ცუცქირიძის პროტესტის პასუხად დამსწრეთ შეახსენა, რომ მას უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს.

დისკუსია გაჩაღდა საქართველოს რეალური სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის მექანიზმის საკითხზეც. რა თქმა უნდა, ეჭვი არავის არ ეპარება თითოეული მხარის, მათი წარმომადგენლების პატრიოტიზმში, ხაზგასმით აღინიშნა შეხვედრაზე. ამავე დროს, იღწვიან რა სანუკვარი მიზნის მიღწევის კონსტიტუციური, ბრძნული საშუალებებისათვის, დიალოგის მონაწილეებს სხვადასხვაგვარად წარმოუდგენიათ მისი რეალიზაციის ტაქტიკა და სტრატეგია.

აი, ამიტომ, ირაკლი წერეთლის წინადადებებს, რომ რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღოს დადგენილებანი ან განცხადებანი, რომლებიც განსაზღვრავს საქართველოს დღევანდელ ფაქტობრივ სტატუსს, ეროვნულ-პოლიტიკურ სიტუაციას, აგრეთვე მისცეს შეფასება ჩვენს რესპუბლიკაში საბჭოთა არმიის ჯარების ყოფნის ხასიათს, მრგვალი მაგიდის წარმომადგენლები არ დაეთანხმნენ, რადგან ეს საკითხები უკვე აისახა ბატონ ზვიად გამსახურდიას მოხსენებაში საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველ სესიაზე და რესპუბლიკის კონსტიტუციის პრეამბულაში, პრინციპული დამატებებისა და ცვლილებების შეტანის შემდეგ. რა თქმა უნდა, ყველა შემდგომი შესწორება მხოლოდ და მხოლოდ პარლამენტის კომპეტენციაა, მაგრამ ისევ და ისევ ძალისმიერი ზეგავლენის, სხვა პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების მხრივ დიქტატის გამოვლენის გარეშე.

საქართველო სულ ერთია მოიპოვებს, აღიდგენს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას, დაასკვნეს შეხვედრის მონაწილეებმა. დაე, ნურავის ნუ შეაშინებს ამის თაობაზე რამდენიმე კონცეპტუალური მიმართულების, შემუშავებული რეკომენდაციების, სტრატეგიული მისწრაფებების არსებობა. მათ შესახებ თავიანთ აზრს გამოთქვამენ პოლიტოლოგები, ინტელიგენცია, ფართო საზოგადოებრიობა. თვითონ ცხოვრება გვიკარნახებს ხალხისათვის ყველაზე მისაღებ გზას. ოღონდ, ნურც ერთი ჩვენგანი ნუ წარმოადგენს და ნუ მოახვევს ვინმეს თავის აზრს როგორც ჭეშმარიტებას უკანასკნელ ინსტანციაში.

ზურაბ ბრძელიშვილი.
სს „საქართველოს" კორ.

სურათებზე: შეხვედრის დროს. **პაატა არჩვაძის ფოტო (სს „საქართველოს" ფოტოქრონიკა).**

(იხ. მე-4 გვ.).

საზოგადოება

„პარიზის ქარტია ახალი ევროპისათვის" და ეროვნულ უმცირესობათა დაცვის პრობლემა

მიმდინარე წლის 21 ნოემბერს პარიზში ევროპის 32 ქვეყნის, ამერიკის შეერთებული შტატების, კანადის და ევროპის გაერთიანებათა კომისიის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს „პარიზის ქარტიას ახალი ევროპისათვის". ამ დოკუმენტის შექმნა იმ პროცესების ლოგიკური გაგრძელებაა, რომელსაც დასაბამი მისცა ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის 1975 წლის ჰელსინკის თათბირმა. ჰელსინკის თათბირის დასკვნითი აქტისგან განსხვავებით, პარიზის ქარტიას ხელი მოაწერა ევროპის არა 33, არამედ 32 ქვეყნის წარმომადგენელმა, გამოაკლდა გაუქმებული გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა.

ჩვენ არ შევუდგებით პარიზის ქარტიის დაწვრილებით განხილვას, ეს ცალკე, ფუნდამენტალური კვლევის საგანს წარმოადგენს, რამდენიმე სიტყვით შევეხებით ქარტიის მხოლოდ იმ დებულებებს, რომლებშიც საუბარია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის პრობლემებზე.

ეროვნულ უმცირესობათა დაცვის პრობლემა დიდი ხანია საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში დგას. იგი აქტუალურია მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყნისათვის, რადგანაც თითქმის არ არსებობს ისეთი სახელმწიფო, რომლის ტერიტორიაზეც არ ცხოვრობდნენ ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი უმცირესობანი, მაგალითად: ავსტრიაში — კარინთიის, ბურგენლადისა და შტირიის პროვინციებში მცხოვრები სლოვენები და ხორვატები, დანიაში — გერმანელები, იტალიაში — გერმანელები, ფრანგები, ერაყში — ქურთები, თურქმენები, ასირიელები, სომხები; უნგრეთში ოფიციალურად აღიარებულ „ეროვნულ ჯგუფებს" მიეკუთვნებიან გერმანელები, რუმინელები, სერბიელები, ხორვატები, სლოვაკები.

უმცირესობანი მრავლად არიან წარმოდგენილნი საქართველოშიც. ეროვნულ უმცირესობად, უპირველეს ყოვლისა, უნდა ჩაითვალონ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე მცხოვრები ოსები, ასევე სხვადასხვა რეგიონებში კომპაქტურად დასახლებული სომხები, აზერბაიჯანელები, ბერძნები.

საყურადღებოა, რომ ეროვნული უმცირესობის საყოველთაოდ აღიარებული ცნება საერთაშორისო სამართალში ჯერჯერობით შემუშავებული არ არის. მიუხედავად იმისა, რომ თითქმის დაარსების დღიდან, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მიმდინარეობს მუშაობა ამ მიმართულებით, არ არსებობს იმ კრიტერიუმების სრული ჩამონათვალი, რომელთა მიხედვითაც მოსახლეობის ესა თუ ის ჯგუფი შეიძლება მიჩნეულ იქნეს უმცირესობად. უკანასკნელად ამ ცნების ჩამოყალიბების ცდა მოცემულია ჟიულ დეშენის მიერ 1985 წელს გაეროს ადამიანის უფლებათა კომისიის დისკრიმინაციის თავიდან აცილების და უმცირესობათა დაცვის ქვეკომისიის 38-ე სესიაზე წარდგენილ გამოკვლევაში. ამ ნაშრომის მიხედვით უმცირესობად ჩაითვლება „მოცემული სახელმწიფოს მოქალაქეთა ჯგუფი, რომელიც წარმოადგენს რიცხობრივ უმცირესობას, უკავია არაგაბატონებული მდგომარეობა ამ სახელმწიფოში, გააჩნია მოსახლეობის უმრავლესობისაგან განსხვავებული ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი თავისუფლებანი, და თუ ამ ჯგუფის წევრები სოლიდარულნი არიან ერთმანეთის მიმართ, კოლექტიურად ისწრაფვიან, თუნდაც ირიბად, თავის გადარჩენისაკენ და ცდილობენ მოიპოვონ უმრავლესობასთან შედარებით ფაქტიური და იურიდიული თანასწორობა". მიუხედავად იმისა, რომ აქ ეროვნული უმცირესობისათვის დამახასიათებელი მრავალი ნიშანია ხაზგასმული, უნდა აღინიშნოს, რომ ეს განმარტება ჩვენი აზრით არასრულყოფილია, რამდენადაც მასში მითითებული არ არის ისეთი დამახასიათებელი ნიშანი, როგორიცაა ამ უმცირესობათა კომპაქტური დასახლება, რომლის გარეშეც არ შეიძლება ცალკეულ მოქალაქეთა საერთაშორისო სამართლით დაცულ ეროვნულ უმცირესობად აღიარება. გარდა ამისა აუცილებელია, რომ ეს ჯგუფები განეკუთვნებოდნენ არამკვიდრ მოსახლეობას (მკვიდრი მოსახლეობის უფლებათა დაცვა საერთაშორისო სამართლის ცალკე ინსტიტუტს წარმოადგენს).

ეროვნულ უმცირესობათა დაცვის პრობლემა ევროპის მასშტაბით დასაბამს იღებს XVI საუკუნიდან, როდესაც დაიწყო თანამედროვე სახელმწიფოებრივი სისტემების ჩამოყალიბება. პირველ მსოფლიო ომამდე ეროვნულ და ძირითადად რელიგიურ უმცირესობათა დაცვა ხორციელდებოდა სახელმწიფოთა შორის დადებული ორმხრივი ხელშეკრულებების საფუძველზე. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ დადებული იქნა მთელი რიგი შეთანხმებები, რომლებიც ითვალისწინებდნენ ეროვნულ უმცირესობათა დაცვას ძირითადად ახლად წარმოშობილ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, ასევე ომში დამარცხებულ სახელმწიფოებში. ეს დოკუმენტები ითვალისწინებენ დისკრიმინაციის დაუშვებლობას, გარკვეულ უფლებებს კულტურის და განათლების სფეროებში, აგრეთვე მშობლიური ენის გამოყენების უფლებას. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული დებულებების შესრულება ხორციელდებოდა ერთა ლიგის მეთვალყურეობის ქვეშ.

ახალი ეტაპი, ეროვნულ უმცირესობათა დაცვის სფეროში, დაიწყო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ქმედითი ღონისძიებანი გაატარა იმისათვის, რომ შემუშავებული ყოფილიყო უნივერსალური ხასიათის ნორმები, რომლებიც დაადგენდნენ არა კონკრეტულად რომელიმე ქვეყანაში, არამედ ზოგადად უმცირესობათა უფლებების დაცვას.

1947 წელს გაეროს ადამიანის უფლებათა კომისიასთან შეიქმნა „დისკრიმინაციის თავიდან აცილებისა და უმცირესობათა დაცვის" ქვეკომისია, 1966 წელს ადამიანის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების პაქტში შეტანილი იქნა 27-ე მუხლი, რომელიც ეხება ეთნიკურ, რელიგიურ და ენობრივ უმცირესობათა წარმომადგენლების უფლებებს. 1974 წელს გაეროს ეგიდით იუგოსლავიაში ჩატარდა სემინარი, რომელიც მიეძღვნა უმცირესობათა პრობლემებს. 1978 წლიდან დაწყებული ადამიანის უფლებათა კომისიის მიერ ყოველწლიურად იქმნება მუშა ჯგუფი, რომელიც განიხილავს იმ პირთა უფლებების დაცვის დეკლარაციის პროექტს, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ, ეთნიკურ, რელიგიურ ან ენობრივ უმცირესობებს. უმცირესობათა დაცვის პრობლემას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ჰელსინკის დასკვნით აქტში, მადრიდის და ვენის შეხვედრათა საბოლოო დოკუმენტებში. ამიტომ, ცხადია, ისეთი მაღალი დონის ფორუმი, როგორიც არის ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის პარიზის თათბირი, გვერდს ვერ აუვლიდა ამ პრობლემას.

კონკრეტულად რა კონტექსტში არის მოცემული ეროვნულ უმცირესობათა პრობლემა „პარიზის ქარტიაში ახალი ევროპისათვის"?

ქარტიის პირველივე თავში თათბირის მონაწილე ქვეყნები ადასტურებენ, რომ „ეროვნულ უმცირესობათა, ეთნიკური, კულტურული ენობრივი და რელიგიური თავისთავადობა დაცული იქნება, და რომ იმ პირებს, რომლებიც ეროვნულ უმცირესობებს განეკუთვნებიან, აქვთ უფლება თავისუფლად გამოხატავდნენ, იცავდნენ და ავითარებდნენ ამ თავისთავადობას ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე და კანონის წინაშე სრული თანასწორობის პირობებში."

ქარტიის მეორე თავში, სადაც საუბარია სამომავლო ორიენტირებაზე, კვლავ გამოთქმულია თათბირის მონაწილე სახელმწიფოთა ნება, გააუმჯობესონ ეროვნულ უმცირესობათა მდგომარეობა. ამავე დროს აღიარებულია რომ „მონაწილე ქვეყნებში მცხოვრები" ხალხების მეგობრული ურთიერთობა აგრეთვე მშვიდობა, სამართლიანობა, სტაბილურობა და დემოკრატია მოითხოვს იმას, რომ ეროვნულ უმცირესობათა ეთნიკური, კულტურული, ენობრივი და რელიგიური თავისთავადობა დაცული იყოს და რომ იქმნებოდეს ამ თავისთავადობის წახალისების პირობები".

ქარტიის დებულებანი სრულად შეესაბამებიან თანამედროვე საერთაშორისო სამართლის სხვადასხვა დოკუმენტებში განმტკიცებულ მოთხოვნებს, კერძოდ:

ა) 1966 წლის ადამიანის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების პაქტის 27-ე მუხლში ნათქვამია: „იმ ქვეყნებში, სადაც არსებობს ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი უმცირესობანი, პირებს, რომლებიც ასეთ უმცირესობას ეკუთვნიან არ შეიძლება უარი ეთქვათ უფლებაზე იმავე ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად ისარგებლონ თავიანთი კულტურით, აღიარონ თავიანთი რელიგია და შეასრულონ მისი წესები, აგრეთვე ილაპარაკონ დედა ენაზე".

ბ) ეროვნული ან ეთნიკური, რელიგიური ან ენობრივი უმცირესობების წარმომადგენელთა უფლებების დეკლარაციის პროექტში (ქვევით დეკლარაციის პროექტი) ჩამოთვლილია ის კონკრეტული უფლებები, რომლებიც გარანტირებული უნდა იქნენ ამ ჯგუფების ცალკეული წარმომადგენლებისათვის: ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე განავითარონ და დაიცვან თავიანთი ეთნიკური, რელიგიური, ენობრივი და რელიგიური თვითმყოფადობა (პირველი მუხლის პირველი პუნქტი), სიცოცხლის, თავისუფლებისა და პირადი უსაფრთხოების უფლება (პირველი მუხლის მეორე პუნქტი); მეექვსე მუხლის თანახმად სახელმწიფოები, თავიანთი კონკრეტული პირობების შესაბამისად, უნდა ცდილობდნენ შექმნან ხელსაყრელი პირობები პოლიტიკის, განათლების, კულტურის და სხვა სფეროებში. რათა უზრუნველყოფილი იქნეს დეკლარაციაში გამოცხადებულ უმცირესობათა უფლებების დაცვა.

ამასთანავე, აუცილებელია, რომ თავიანთი უფლებების განხორციელების დროს უმცირესობათა წარმომადგენლებმა პატივი სცენ საყოველთაოდ აღიარებულ ადამიანის უფლებებს და ძირითად თავისუფლებებს, რითაც სარგებლობენ სხვა პირები. (დეკლარაციის პროექტის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი).

(დასასრული მე-4 გვ.).

საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართვა

ვინაიდან უკანასკნელ ხანს საქართველოში მომხდარ მრავალ დანაშაულში აღინიშნება ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება, რაც მოსახლეობის აღშფოთებას იწვევს და ჩვენგან მოითხოვს სათანადო ღონისძიებების განხორციელებას მდგომარეობის სტაბილიზაციისათვის, მოვითხოვთ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედი ყველა შეიარაღებული ფორმირებისა და ჯგუფის ხელმძღვანელებისაგან:

1. წარმოადგინონ თავიანთი ორგანიზაციის და ჯგუფის წევრების სრული სია, სადაც აღინიშნება გვარი, სახელი, მამის სახელი და მისამართი.
2. წარმოადგინონ სრული ინფორმაცია მათი შეიარაღების შესახებ, იარაღის ტიპისა და რაოდენობის ჩვენებით, და ჩააბარონ მათ ხელთ არსებული იარაღი შინაგან საქმეთა ორგანოებს.
3. რესპუბლიკის პროკურატურა და შინაგან საქმეთა სამინისტრო სრულ გარანტიას აძლევს ყველა პირს, ვინც იარაღს ნებაყოფლობით ჩააბარებს, რომ გათავისუფლდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან.

საქართველოს რესპუბლიკის პროკურორი
ვ. რაზმაძე.

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი
დ. ხაბულიანი.

საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელ კავშირში

გაიმართა საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელი კავშირის სამდივნოს სხდომა, რომელმაც იმსჯელა საქართველოში შექმნილი მძიმე მდგომარეობის შესახებ. აღინიშნა, რომ რესპუბლიკაში დღეს გამოდის მრავალი გაზეთი და ჟურნალი. მათი რედაქციები ხელმძღვანელობენ თავისუფალი პრესის პრინციპებით, რაც ნათლად არის გამოხატული ახალ წესდებაში.

საინფორმაციო საშუალებათა თავისუფლება სრულებითაც არ ნიშნავს, რომ ყველას, ვინც კი მოინდომებს, აქვს უფლება ჩაერიოს მათ მუშაობაში. ყოველ გაზეთს, ჟურნალს, რადიოს თუ ტელევიზიას უნდა ჰქონდეს თავისი გამოკვეთილი პოზიცია, რომელსაც ახორციელებს სარედაქციო კოლექტივი და მისი ხელმძღვანელობა.

სამდივნოს მიაჩნია, რომ ნებისმიერი დიქტატი საინფორმაციო საშუალებების მიმართ ყოვლად მიუღებელია.

სს „საქართველო".

რას ამბობენ...

საქართველოს ეროვნული კონგრესის თვალსაზრისი საქართველოში შექმნილი პოლიტიკური ვითარების შესახებ

ბ-ნ თეიმურაზ სუმბათაშვილის მოხსენება, წაკითხული საქართველოს ეროვნული კონგრესის მეორე სესიაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნები, დანიშნული 1990 წლის 25 მარტს, როგორც მოგეხსენებათ, გადატანილი იქნა შემოდგომისათვის და ჩატარდა 28 ოქტომბერს.

25 მარტს დანიშნული არჩევნების ჩაშლა დაბრალდა შეურიგებელ ოპოზიციას, მაგრამ თუ ობიექტურნი ვიქნებით, შეუძლებელია არ დავინახოთ, რომ შეურიგებელ ოპოზიციას, სინამდვილეში, არაფერი უჩვეულო და განსაკუთრებული არ მოუმოქმედია ამ არჩევნების ჩასაშლელად—შეურიგებელი ოპოზიცია ბოიკოტს უცხადებდა უზენაესი საბჭოს არჩევნებს, განუწყვეტლივ ეწეოდა არჩევნების საწინააღმდეგო პროპაგანდას და ამ პოლიტიკური ბრძოლის შედეგი მცირე არ იყო, მაგრამ გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ შეურიგებელი ოპოზიციის პოლიტიკურ ძალისხმევას 25 მარტს დანიშნული არჩევნების ჩაშლა მოჰყვებოდა — ხელისუფლება არჩევნების ჩატარებას შესძლებდა, თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ ფალსიფიცირებული არჩევნების ჩატარების მდიდარი გამოცდილება ჰქონდა და ჰყავდა კადრები, რომლებსაც შეეძლოთ ასეთი არჩევნების ჩატარების იურიდიული დადასტურება იმ შემთხვევაშიც კი, თუ დიდი ნაწილი ამომრჩევლებისა საარჩევნო ყუთებში არ მივიდოდა.

იმისათვის, რომ დავადგინოთ ჭეშმარიტი მიზეზი 25 მარტს დანიშნული არჩევნების ჩაშლისა, საჭიროა სწორად შევაფასოთ იმჟამინდელი პოლიტიკური სიტუაცია, რადგან ეჭვსგარეშეა, არჩევნები ჩაშალა მან, ვინც უშეცდომოდ შეაფასა პოლიტიკურ ძალთა თანაფარდობა არჩევნებისწინა საქართველოში — პოლიტიკური ვითარება კი ასეთი გახლდათ: საქართველოს კომპარტია, სახალხო ფრონტი და ეროვნული მოძრაობის ლიბერალური ფრთის წარმომადგენლები ჩაბმულნი იყვნენ საარჩევნო კამპანიაში, რადიკალური, შეურიგებელი ფრთა კი ბოიკოტს უცხადებდა უზენაეს საბჭოს არჩევნებს, ამგვარად, 28 მარტს დანიშნული არჩევნების შედეგად, საქართველოს უზენაეს საბჭოში, ბუნებრივია, თავს მოიყრიდნენ საქართველოს კომპარტიის, სახალხო ფრონტის და ეროვნული მოძრაობის ლიბერალური ფრთის წარმომადგენლები, ხოლო შეურიგებელი ოპოზიცია, ცხადია, დარჩებოდა უზენაესი საბჭოს გარეთ. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ საქართველოში სწორედ ეროვნული მოძრაობის შეურიგებელი ფრთა წარმოადგენდა ძლიერსა და გავლენიან პოლიტიკურ ძალას, მაშინ ადვილად მივალთ იმ დასკვნამდე, რომ ისეთი უზენაესი საბჭო, რომლის შემადგენლობაში არ იქნებოდა წარმოდგენილი ეროვნული მოძრაობის ფაქტობრივი წარმმართველი— შეურიგებელი ოპოზიცია— ვერ მოიპოვებდა ქართველი ხალხის ნდობას და იგი არსებითად, ძველ უზენაეს საბჭოზე მეტ პოლიტიკურ რეპუტაციას ვერ შეიძენდა. ამავე დროს, შეურიგებელი ოპოზიცია, დარჩენილი უზენაესი საბჭოს გარეთ, საწინააღმდეგო ფრონტზე, თუნდაც მხოლოდ თავდაცვის ინსტინქტის წყალობით, უეჭველია, დასძლევდა შინააშლილობას, გაერთიანდებოდა, შეიკვრებოდა და უზენაესი საბჭოს პოლიტიკურ გავლენას, ისედაც უმნიშვნელოს, სავსებით გააქარწყლებდა — ერთი სიტყვით, 25 მარტს დანიშნულ არჩევნებს მოჰყვებოდა ოფიციალური ხელისუფლების შესუსტება და ეროვნული მოძრაობის გაძლიერება.

ვისთვის იქნებოდა დამღუპველი პოლიტიკურ ძალთა ამგვარი განაწილება საქართველოში? — რა თქმა უნდა, რუსეთის მოდერნიზებული იმპერიის, ეგრეთწოდებული საბჭოთა კავშირის უმაღლესი ხელისუფლებისათვის, და სწორედ მას გაუჩინდა 25 მარტს დანიშნული არჩევნების ჩაშლის იდეა, ხოლო ადგილობრივი ხელისუფლება ამ იდეის პასიური განმხორციელებლის როლში აღმოჩნდა. არსებითი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ოფიციალური გადაწყვეტილება 25 მარტს დანიშნული არჩევნების გადავადების შესახებ მიღებული იქნა ეროვნული მოძრაობის პირველი საგანგებო კონფერენციის წარმატებით ჩატარების შემდეგ. მოგეხსენებათ, ამ კონფერენციამ იმუშავა 13, 14, 15 მარტს და დამთავრდა შეურიგებელი ოპოზიციის სრული გამარჯვებით — არჩეული იქნა ეროვნული მოძრაობის პირველი წარმომადგენლობითი ორგანო — ეროვნული ფორუმი! — ამ წარმომადგენლობით ორგანოში შეურიგებელი ოპოზიციის გაერთიანება, ერთ მუშტად შეკვრა გახლდათ ჭეშმარიტი მიზეზი 25 მარტს დანიშნული არჩევნების გადატანისა — იმპერიის უმაღლესმა ხელისუფლებამ არჩევნები გადაიტანა, რადგან დაინახა, რომ 25 მარტს არჩეული უზენაესი საბჭო ეროვნული ფორუმის პოლიტიკურ მეტოქედ ვერ გამოდგებოდა და მხოლოდ მის გაძლიერებას შეუწყობდა ხელს, თავისი სისუსტის გამო. იმპერიული ხელისუფლებისათვის საჭირო იყო ეროვნულ ფორუმში გაერთიანებული შეურიგებელი ოპოზიციის ძლიერი ფრონტის დაშლა — ამ ამოცანის შესრულება კი 25 მარტს დანიშნული არჩევნების შედეგად ფორმირებულ უზენაეს საბჭოს არ შეეძლო. სწორედ ამიტომ არჩევნები გადატანილ იქნა და ჰაერში ბაცილასავით გაჩნდა შემოდგომაზე არა მხოლოდ დემოკრატიული, არამედ მრავალპარტიული არჩევნების ჩატარების იდეა — ამ იდეის ავტორიც იმპერიის უზენაესი ხელისუფლება გახლავთ, მაგრამ იმპერიულმა ხელისუფლებამ ეს იდეა ისე ოსტატურად შემოგვაპარა, რომ გულუბრყვილო ქართველ პატრიოტებს ეს იდეა დღესაც საკუთარი გონების ნაყოფი ჰგონიათ და დარწმუნებულნი არიან, რომ ბრძოლით მოიპოვეს ამ იდეის განხორციელების შანსი — არსებითად კი, დემოკრატიული არჩევნების კიდევ უფრო შელამაზება, გაკეთილშობილება მრავალპარტიულობით, იმპერიულ ხელისუფლებას დასჭირდა სწორედ საქართველოში და სხვაგან არსად, მხოლოდ იმიტომ, რომ საქართველოში ძლიერი და გავლენიანი ფრთა ეროვნული მოძრაობისა უზენაეს საბჭოში შესვლას მიუტევებელ პოლიტიკურ შეცდომად მიიჩნევდა — ვთქვათ, ლიტვაში, საქმე სულ სხვაგვარად გახლდათ, იქ, ძლიერი და პოპულარული ოპოზიციური ძალა — „საიუდისი" სწორედ უზენაეს საბჭოში შესვლას ისახავდა მიზნად, ამიტომ იმპერიულ ხელისუფლებას ლიტვაში არ დასჭირვებია ისეთი საცდუნებლის გამოყენება, როგორიც არის მრავალპარტიული არჩევნები.

იმპერიული ხელისუფლების ხერხმა გასჭრა. საქართველო მოიცვა მრავალპარტიული არჩევნების იდეამ — არ დარჩენილა არც ერთი სახელმოხვეჭილი, პოპულარული საზოგადო მოღვაწე — ჭეშმარიტი პატრიოტი — რომელმაც პროპაგანდა არ გაუწია ამ იდეას. იმპერიული ხელისუფლების ოსტატობამ მწვერვალს მიაღწია, მან მტრებიც კი აამუშავა იმპერიის მეორე მოდერნიზაციის გეგმის შესაბამისად. იმპერიულმა ხელისუფლებამ არა მარტო გამოჩენილ ქართველ მოღვაწეთა, ქართველი ხალხის აზრთამპყრობელთა შეცდომაში შეყვანა და ამის შედეგად ქართველი ხალხის უდიდესი ნაწილის ცდუნება შესძლო, არამედ თავის მთავარ მიზანსაც მიაღწია — გახლიჩა და შეასუსტა ეროვნული ფორუმი. ფორუმიდან გავიდა შეურიგებელი ოპოზიციის მნიშვნელოვანი ნაწილი და მრავალპარტიული არჩევნების ერთ-ერთ ყველაზე უფრო აქტიურ პროპაგანდისტად იქცა.

ეროვნულ ფორუმში დარჩენილი შეურიგებელი ოპოზიციის მხრიდან უზენაესი საბჭოს არჩევნების აქტიურმა ბოიკოტირებამ ყოველგვარი აზრი დაჰკარგა — ქართველი ხალხი მონუსხული იყო მრავალპარტიული არჩევნების იდეით და ზარ-ზეიმით მიიღო კიდეც მონაწილეობა დემოკრატიულ და მრავალპარტიულ არჩევნებში 1990 წლის 28 ოქტომბერს.

განსაკუთრებული პოლიტიკური ალღო ან საიდუმლო ინფორმაცია არ სჭირდება იმის დადგენას, რომ რუსეთის მოდერნიზებული იმპერიის ხელისუფლებას შემუშავებული აქვს იმპერიის მეორე მოდერნიზაციის სტრატეგიული გეგმა. დღესავით ნათელია, რომ ამ გეგმის პირველი ნაწილი ითვალისწინებს დაპყრობილ ტერიტორიებზე დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას და ვითომდაც სუვერენული, სინამდვილეში კი სუვერენობის, ე. ი. უზენაესობის არმქონე, „უზენაესი" ხელისუფლებების ფორმირებას, თავისი სტრატეგიული გეგმის პირველი ნაწილი იმპერიულმა ხელისუფლებამ განახორციელა უკლებლივ ყველა დაპყრობილ ქვეყანაში, რჩებოდა მხოლოდ საქართველო, მხოლოდ საქართველო არ იყო მომწყვდეული იმპერიის მეორე მოდერნიზაციის სტრატეგიულ მოდელში. 28 ოქტომბერს კი საქართველოც ამ მოდელში მოექცა — პატიოსანი, მაგრამ გულუბრყვილო პატრიოტების პოლიტიკური სიბეცით, ხელისუფლების ხელში ჩაგდების მოსურნე ავტორიტეტების აქტიურობით და მოქნილი, ვერაგული იმპერიული პოლიტიკით დეზორიენტირებულმა ქართველმა ხალხმა ლამის ხელიდან გააგდო ის ერთადერთი პოლიტიკური კოზირი, რომელიც დღევანდელ მსოფლიოში მოქმედი საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად, კანონიერ ხდის ბრძოლას 1921 წელს დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის. საქმე ის არის, რომ 1921 წელს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებამ ისე დატოვა დაპყრობილი საქართველო, რომ დამარცხება არ აღიარა, კაპიტულაციას ხელი არ მოაწერა. აქედან გამომდინარე, ემიგრაციაში წასული, ფაქტობრივად დამარცხებული დემოკრატიული საქართველოს ხელისუფლება იურიდიულად, დღესაც დაუმარცხებელი, ერთადერთი კანონიერი ხელისუფლებაა, რომელსაც უფლება აქვს ითვლებოდეს იმ ტერიტორიის უზენაეს მფლობელად. მპყრობელად, რომელიც მოქცეულია ერთა ლიგის მიერ რეგისტრირებულ და დადასტურებულ საზღვრებში. დამპყრობელმა თავისი საერთაშორისო დანაშაულის, ე. ი. სხვა ქვეყნის ტერიტორიის ძალმომრეობით დაპყრობის, ანექსიის შესანიღბავად, საქართველოში მოაწყო ყასაბურის ინსცენირება და გააბატონა მარიონეტული საბჭოთა ხელისუფლება, მაგრამ ეს ხელისუფლება არასოდეს არ ყოფილა აღიარებული ხალხის მიერ არც რეფერენდუმის, არც დემოკრატიული არჩევნების გზით. ოფიციალური, მარიონეტული ხელისუფლება დრო და დრო კომპლექტდებოდა ფალსიფიცირებული არჩევნების წყალობით, ე. ი. ფაქტობრივად ინიშნებოდა, ხოლო ვიდრე ეს გრძელდებოდა, ურყევ ფაქტად რჩებოდა ემიგრაციაში წასული, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების იურიდიული კანონიერება. ამგვარად, იმპერიულმა ხელისუფლებამ, 1921 წლიდან დღემდე ვერ მოახერხა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების იურიდიული კანონიერების გაბათილება — დღეს კი ქართველმა ხალხმა იურიდიულად თვითონვე დაამარცხა თავისუფალი საქართველოს ხელისუფლება, რადგან დემოკრატიული წესით ჩატარებულ არჩევნებში მონაწილეობა მიიღო და დიდი ენთუზიაზმით აირჩია უზენაესი საბჭო — ე. ი. 69 წლის შემდეგ ნებაყოფლობით აღიარა ხელისუფლების ის ინსტიტუტი, რომელიც დამპყრობელმა თავს მოგვახვია 1921 წელს, თავისი დანაშაულის შესანიღბავად. ეს შეცდომა, სამწუხაროდ, უკვე ჩადენილია, ჩადენილია იმის მიუხედავად, რომ შეურიგებელი ოპოზიცია უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ყველა მიტინგზე, ყოველ შეკრებაზე ხმის ჩახლეჩამდე ქადაგებდა: დამპყრობლის მიერ დაწესებული ხელისუფლების ინსტიტუტის არჩევა — ნებაყოფლობით! —დაპყრობილის მიერ, საბედისწერო შეცდომა, არსებითად ისტორიული დანაშაულია, გონს მოვიდეთ, ნუ ჩავიდენთ ამ დანაშაულს!.. მაგრამ რაც მოხდა, უკვე ისტორიას ეკუთვნის, ვეღარ ამოვშლით მატიანედან. დღეს მაინც ნუ შევეცდებით და სწორად შევაფასოთ მდგომარეობა — უპირველეს ყოვლისა, უნდა გავარკვიოთ, რა პოლიტიკური კაპიტალი დაგვრჩა ხელთ 28 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, ნამდვილად გაუქმდა თუ არა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების კანონიერება, ე. ი. შეწყდა თუ არა მისი სამართლებრივი არსებობა? — საბედნიეროდ, არა! მართალია, 28 ოქტომბრის არჩევნებმა სადავო გახადა ის, რაც ადრე ურყევ ფაქტს წარმოადგენდა და სადავო არ იყო, მაგრამ ეროვნულ მოძრაობას დღესაც აქვს საკმარისი არგუმენტები, რათა დაამტკიცოს შემდეგი:

1990 წლის 28 ოქტომბრამდე, საქართველოს უზენაესი საბჭო, დამპყრობლის მიერ შექმნილი, ანექსიის ფაქტის შემნიღბავი, არაკანონიერი ხელისუფლების ორგანო იყო — პოლიტიკურად ფიქტიური, უზენაესობის არმქონე, მარიონეტული. საქართველოს ტერიტორიაზე ძალმომრეობით იყო შეჩერებული თავისუფალი საქართველოს კონსტიტუცია, მიღებული საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის 21 თებერვალს, ხოლო დაპყრობილი საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედებდნენ არაკანონიერი საკანონმდებლო აქტები: სსრკ კონსტიტუცია და საქართველოს სსრ კონსტიტუცია. 1990 წლის 28 ოქტომბერს ჩატარებული არჩევნების კანონი საბოლოოდ დაამტკიცა და აამოქმედა სსრკ კონსტიტუციისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის ძალით არსებულმა, ე. ი. **არაკანონიერმა** უზენაესმა საბჭომ, ამ არაკანონიერმა უზენაესმა საბჭომ ჩატარა ეს არჩევნები — **არაკანონიერი** უზენაესი საბჭოს მიერ დამტკიცებული საარჩევნო კანონი **არაკანონიერია!** არაკანონიერი უზენაესი საბჭოს მიერ არაკანონიერი საარჩევნო კანონის შესაბამისად ჩატარებული არჩევნები **არაკანონიერია** და ამდენად, 28 ოქტომბერს ჩატარებული **არაკანონიერი** არჩევნების შედეგად ფორმირებული უზენაესი საბჭოც **არაკანონიერია!..** ამასთან, 28 ოქტომბერს არჩევნები ჩატარდა საქართველოში, ე. ი. დაპყრობილ ქვეყანაში, ხოლო დაპყრობილ ქვეყანაში ჩატარებული არჩევნების შედეგად შეუძლებელია სუვერენული, უზენაესობის მფლობელი ხელისუფლების არჩევა, რადგან დაპყრობილ ტერიტორიაზე ფაქტობრივად მოქმედებს მხოლოდ დამპყრობლის უზენაესობა, გარანტირებული საოკუპაციო ჯარების მიერ, ამიტომ, დამპყრობელს სწორედ დემოკრატიული და მრავალპარტიული არჩევნების ინსცენირება სჭირდება დაპყრობილ ტერიტორიაზე, რათა საიმედოდ შენიღბოს ქვეყნის დაპყრობის ფაქტი და ადგილობრივი ხელისუფლების პოლიტიკური ფიქტიურობა — ეს ყოველივე კი უტყუარად ამტკიცებს იმას, რომ დაპყრობილ ტერიტორიაზე ოფიციალური ხელისუფლების არჩევა დამპყრობლის ინტერესების შესაბამისად ჩატარებული პოლიტიკური აქციაა და არსებითად დამპყრობლის შეიარაღებული ძალების მიერ დაწყებული და წარმატებით განხორციელებული აგრესიის სახეცვლილ აგრძელებას წარმოადგენს — ვინაიდან, 1990 წლის 28 ოქტომბრამდე საქართველოს ოფიციალური ხელისუფლება ძალმომრეობით დამკვიდრებული, ე. ი. არაკანონიერი ხელისუფლება იყო და 1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეული ოფიციალური ხელისუფლებაც არაკანონიერია, რადგან დამპყრობლის ინტერესების შესაბამისად ჩატარებული არჩევნების შედეგად ჩამოყალიბდა — **საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების კანონიერება გაუბათილებელი რჩება და 1921 წლის 21 თებერვალს მიღებული საქართველოს კონსტიტუცია, რომლის მოქმედება შეაჩერა დამპყრობელმა, ქართველი ხალხის ნების საწინააღმდეგოდ და საქართველოს კანონიერი ხელისუფლების თანხმობის გარეშე, დღესაც ინარჩუნებს იურიდიულ ძალმოსილებას.**

1917 წელს ბოლშევიკური პუტჩის შედეგად განხორციელდა რუსეთის იმპერიის პირველი მოდერნიზაცია, რამაც იმპერია ზესახელმწიფოდ აქცია, მაგრამ ერთის მხრივ, აგრესიულმა ბუნებამ, ხოლო მეორეს მხრივ, კარჩაკეტილობამ და ტოტალიტარულმა რეჟიმმა, იმპერია მძიმე პოლიტიკურ და ეკონომიკურ კრიზისამდე მიიყვანა — საჭირო გახდა იმპერიის ხელმეორე მოდერნიზება — სწორედ ეს პროცესი მიმდინარეობს ამჟამად. როგორ შეიძლება იმპერიის შენარჩუნება? — იმპერიის გარდაქმნით ცივილიზებული კაცობრიობისათვის მისაღებ კონგლომერატად, ე. ი. ძალმომრეობით დამყარებული კავშირის გადაკეთებით ნებაყოფლობით კავშირად. ამის მიღწევა კი შეუძლებელია, თუ დაპყრობილ ქვეყნებში დემოკრატიული წესით არჩეული ოფიციალური ხელისუფლებები არ შეიქმნა, მაგრამ იმისთვის, რომ ეს ოფიციალური ხელისუფლებები საკმარისი ავტორიტეტით იქნან აღჭურვილნი, აუცილებელია ამ ხელისუფლებებში დაპყრობილი ქვეყნების დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ძალების შესვლა — ეს პროცესი საბჭოთა კავშირში დასრულდა 28 ოქტომბერს საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევით. ამგვარად, იმპერიულმა ხელისუფლებამ წარმატებით განახორციელა იმპერიის მეორე მოდერნიზაციის სტრატეგიული გეგმის პირველი ნაწილი. ცხადია, მეორე ნაწილი ამ გეგმისა, ითვალისწინებს ახალი ტიპის ურთიერთობის დამყარებას ყოველ დაპყრობილ ქვეყანასთან დამპყრობლის მხრიდან. იმპერიულმა ხელისუფლებამ მოახერხა იმის დემონსტრირება, რომ ეროვნული ძალები დაპყრობილი ქვეყნების ხელისუფლებებში ბრძოლით შევიდნენ. ახლა, გათამაშდება პოლიტიკური ფარსის მეორე აქტი — ეროვნული ხელისუფლებები არ მოაწერენ ხელს სამოკავშირეო ხელშეკრულებას, რომელიც გამოქვეყნდა. იმპერიის ხელმძღვანელობამ იცის, რომ ეს ასეც მოხდება — ადრე თუ გვიან უკან დაიხევს და კაბალური სამოკავშირეო ხელშეკრულების ამ პროექტს უკან წაიღებს, რათა გზა გაეხსნას სხვა დოკუმენტს, შედგენილს იმპერიის მიერ მოდერნიზაციის გეგმის შესაბამისად. შესაძლოა თვით იდეაც ტრადიციული სამოკავშირეო ხელშეკრულებისა უარყოფილ იქნეს და **ახალი კავშირის**, ანუ არსებითად, იგივე იმპერიის იურიდიული არსებობა სულ სხვა ტიპის, საიმედოდ შენიღბული აქტის მეოხებით დადასტურდეს. არც ის არის გამორიცხული, რომ ფალსიფიცირებული ბრძოლის პროცესში ეგრეთწოდებული **ცენტრის** გაუქმების საკითხიც დადგეს, რადგან იმპერიის ხელისუფლებამ უკვე მიაღწია იმას, რომ იმპერიული პოლიტიკის ერთადერთ გამტარებლად, თვით **იმპერიის სიმბოლოდ**, ცენტრია მიჩნეული, ხოლო ეგრეთწოდებულმა სუვერენულმა რუსეთმა, არა მარტო თავისი, არამედ სხვათა თავისუფლებისათვის მებრძოლი ქვეყნის რეპუტაცია მოიპოვა — ამ დროს, **იმპერია სწორედ რუსეთი** გახლავთ და რუსეთთან დადებული ხელშეკრულება იგივეა, რაც იმპერიასთან ურთიერთობის გაგრძელება, მის შემადგენლობაში დარჩენა ფაქტობრივად — საოცარია, რესპუბლიკური ხელისუფლებები, რომლებიც ირწმუნებიან, რომ დამოუკიდებლობისათვის იბრძვიან, ისეთი ნიშნისმოგებით აწერენ ხელს ერთმანეთთან და რუსეთთან პოლიტიკურ-ეკონომიკური კავშირის განმამტკიცებელ დოკუმენტებს, თითქოს ეს ყოველივე იმპერიული ხელისუფლების ინტერესებს ეწინააღმდეგებოდეს. სინამდვილეში კი, ნებსით თუ უნებლიეთ, დაპყრობილი ქვეყნებისა და დამპყრობლის — რუსეთის —შემდგომ ინტეგრირებას, ე. ი. იმპერიის შენარჩუნებას, მის მეორე მოდერნიზაციას უწყობენ ხელს.

როგორ შეიძლება თავი დავაღწიოთ იმპერიას? — უპირველეს ყოვლისა, უნდა ვაღიაროთ, რომ შევცდით და იმპერიის ხელმძღვანელობის მიერ შემუშავებული გეგმის მოქმედების სფეროში მოვხვდით, ამ სფეროდან თავის დაღწევა კი ადვილი არ არის. სიმართლე, სიმართლე და მხოლოდ სიმართლე —სხვა არაფერი უშველის ჩვენს დაპყრობილ სამშობლოს. როგორ, ან რატომ გახდება ჩვენი ქომაგი საერთაშორისო სამართალი, თუ ჩვენ თავს მოვიტყუებთ, სხვასაც მოვატყუებთ და იურიდიულად სწორად არ განვსაზღვრავთ ჩვენს რეალურ პოლიტიკურ სტატუსს, მდგომარეობას. ჩვენი მდგომარეობა კი ასეთია:

1921 წელს ბოლშევიკურმა რუსეთმა დაიპყრო საქართველო, ძალმომრეობით გაასაბჭოვა და მმართველად დაუნიშნა მარიონეტული საბჭოთა ხელისუფლება. ქართველი ხალხი ვერ შეურიგდა საბჭოთა ხელისუფლებას, აჯანყდა 1922 წელს, 1924 წელს, შემდეგ იმპერიამ დაიწყო რეპრესიების უწყვეტი სერიების განხორციელება, რამაც შეუძლებელი გახადა მასობრივი გამოსვლების მომზადება დამპყრობლის წინააღმდეგ, მაგრამ ეროვნული დამოუკიდებლობის იდეას მრავალი პოლიტიკური ჯგუფი და ცალკეული პიროვნება შეეწირა, ხოლო როცა ტოტალიტარული რეჟიმი ოდნავ შერბილდა, ისე აზვირთდა ქართული ეროვნული მოძრაობა, რომ 1989 წლის 9 აპრილს კვლავ აგრესიის განხორციელება, ძალის გამოყენება დასჭირდა იმპერიას 1921 წელს ანექსირებული საქართველოს შესანარჩუნებლად — ეს ყოველივე უტყუარად ადასტურებს იმას, რომ საქართველო უცხო ქვეყნის შეიარაღებული ძალების მიერ ოკუპირებული, პერმანენტული აგრესიის ქვეშ მყოფი, ანექსირებული ქვეყანაა. საქართველოს მარიონეტულ, უზენაესობის არმქონე ხელისუფლებას არ შეეძლო და არც ამჟამად შეუძლია დამოუკიდებლად იმოქმედოს არც საგარეო პოლიტიკის, არც საშინაო პოლიტიკის და არც ეკონომიკის სფეროში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საქართველო არის წმინდა წყლის კოლონია, ე. ი. სუსტი და ჩამორჩენილი ქვეყანა, დაპყრობილი, პოლიტიკურად და ეკონომიკურად უფრო ძლიერი სახელმწიფოს მიერ. ამგვარად, **საქართველო არის უცხო ქვეყნის შეიარაღებული ძალების მიერ ოკუპირებული, პერმანენტული** აგრესიის ქვეშ მყოფი, ანექსირებული, კოლონიური ქვეყანა. როცა იურიდიულად გავაფორმებთ ამ ფაქტს, მაშინ რეალური მდგომარეობა ჩვენი ქვეყნისა პოლიტიკურ სტატუსად იქცევა და ჭეშმარიტებას, დოკუმენტად ქცეულს, იმპერია ვეღარაფრით ვერ შენიღბავს. ამას მოჰყვება, ერთის მხრივ, ხანგრძლივი და სახიფათო ჭიდილი დამპყრობელთან, ხოლო მეორეს მხრივ, თავისუფალი სამყაროს გაჭიანურებული ჰუმანი, მაგრამ ბოლოს და ბოლოს, საქართველოს დეოკუპაციისა და დეკოლონიზაციის საკითხი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მსჯელობის საგანი გახდება. მხოლოდ ამ წესით შეიძლება დასაბამი მიეცეს საქართველოს ჭეშმარიტი განთავისუფლების საქმეს. სხვა პოლიტიკური მეთოდი, დაპყრობილი ქვეყნისათვის გამოსადეგი და წარმატების მომტანი ჭეშმარიტი თავისუფლებისათვის ბრძოლაში, თანამედროვე კაცობრიობამ არ იცის და ვერც ჩვენ გამოვიგონებთ, როგორც არ უნდა ვეცადოთ.

ფაქტია, რომ იმპერიული ხელისუფლების იურისდიქცია საგრძნობლად შესუსტდა საქართველოში, განსაკუთრებით იმ ზნეობრივი და პოლიტიკური გამარჯვების შემდეგ, რომელიც მოიპოვა ქართველმა ხალხმა 1989 წლის 9 აპრილს — საქართველო დაუმორჩილებლობის სტადიაში შესული საბჭოური კოლონიაა.

ამგვარად, 28 ოქტომბერს არჩეული უზენაესი საბჭოს ეროვნული მოვალეობაა საქართველოს მიანიჭოს მისი რეალური პოლიტიკური მდგომარეობის შესაბამისი სტატუსი. დაპყრობილი საქართველოს ტერიტორიაზე დემოკრატიული და მრავალპარტიული წესით არჩევნების ჩატარების პრეცედენტი არ ცვლის საქართველოს რეალურ მდგომარეობას — პირიქით, აუარესებს კიდეც, რადგან ეს პრეცედენტი იმპერიის დღევანდელმა ხელისუფლებამ დაუშვა მხოლოდ იმიტომ, რომ კიდევ უფრო საიმედოდ შენიღბოს ჩვენი დაპყრობის ფაქტი, ანუ სამართლებრივად დაგვიპყროს, ე. ი. დაგვიპყროს უფრო ოსტატურად, ვიდრე ეს მოახერხა 1921 წელს რუსეთის ბოლშევიკურმა ხელმძღვანელობამ. უზენაესმა საბჭომ საქართველო უნდა გამოაცხადოს **დაუმორჩილებლობის სტადიაში შესულ უცხო ქვეყნის შეიარაღებული ძალების მიერ ოკუპირებულ, პერმანენტული აგრესიის ქვეშ მყოფ, ანექსირებულ კოლონიურ ქვეყნად**, უნდა დაუყოვნებლივ გააუქმოს საქართველოს უზენაესი საბჭო, როგორც დამპყრობლის მიერ ანექსიის ფაქტის შესანიღბავად შექმნილი ფიქტიური პოლიტიკური ინსტიტუტი და საკუთარ თავს დააკისროს **დაუმორჩილებლობის სტადიაში შესული კოლონიური ქვეყნის თვითმმართველობის დროებითი ორგანოს ფუნქცია.** ჭეშმარიტი უზენაესი ხელისუფლება შეიძლება არჩეულ იქნეს მხოლოდ მაშინ, როცა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მიიღებს გადაწყვეტილებას საქართველოს დეოკუპაციისა და დეკოლონიზაციის შესახებ, როცა საერთაშორისო სამართლის მიერ გარანტირებული იქნება საქართველოს ტერიტორიის ხელშეუხებლობა და დღემდე იურიდიული ძალმოსილების მქონე, მაგრამ დამპყრობლის მიერ ძალმომრეობით შეჩერებული სახელმწიფო კანონის, ე. ი. 1921 წლის 21 თებერვალს საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ მიღებული კონსტიტუციის საფუძველზე, ჩატარდება საქართველოს წარმომადგენლობითი ორგანოს — ეროვნული პარლამენტის — არჩევნები.

იმისათვის, რომ საერთაშორისო სამართალმა თავისი წმიდათაწმიდა მოვალეობა აღასრულოს და საქართველოს დეოკუპაციისა და დეკოლონიზაციის საკითხი მსჯელობის საგნად აქციოს, საკმარისი არ არის ჩვენი რეალური მდგომარეობის იურიდიული გაფორმება, ე. ი. საქართველოსათვის კოლონიური ქვეყნის სტატუსის მინიჭება. ამ პოლიტიკურ აქტს უნდა მოჰყვეს ქართველი ხალხის მიერ განხორციელებული ეროვნული დაუმორჩილებლობის პერმანენტული პროცესი. საერთაშორისო სამართალი ჩვენ დაგვიცავს მხოლოდ მაშინ, როცა დარწმუნდება, რომ თავისუფლების გარეშე ჩვენ სიცოცხლე არ გვინდა, როცა დაინახავს, რომ ქართველი ერი, როგორც ისტორიის სუბიექტი, თავისუფლებისათვის ბრძოლამ შესაძლოა იმსხვერპლოს. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში ამოქმედდება საერთაშორისო სამართალი ჩვენს სასარგებლოდ — ეს მკაცრი რეალობაა და ქართველმა ხალხმა უნდა შესძლოს ამ ულმობელი ჭეშმარიტებისათვის თვალის გასწორება.

საქართველოს ეროვნული კონგრესი შეშფოთებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ 28 ოქტომბერს ჩატარებული არჩევნების შედეგად ხელისუფლების სათავეში მისული, შეურიგებელი ოპოზიციის განუყოფელი ნაწილი, **მრგვალ მაგიდად წოდებული პოლიტიკური** ალიანსი, არ აპირებს საქართველოს რეალური პოლიტიკური მდგომარეობის იურიდიული გაფორმების საკითხის დაყენებას საქართველოს უზენაეს საბჭოში, არც უზენაესი საბჭოს, როგორც იმპერიული სტრუქტურის, ანუ ანექსიის ფაქტის შემნიღბავი ინსტიტუტის გაუქმების საკითხი შეაქვს უზენაესი საბჭოს დღის წესრიგში და საბჭოური სისტემის ლიკვიდაციას კი არ ცდილობს, არამედ, ჯერჯერობით, მხოლოდ კადრების შეცვლით კმაყოფილდება — ეს არა თუ გააუმჯობესებს ქვეყნის მდგომარეობას, არამედ გააუარესებს კიდეც. საქართველოს ეროვნული კონგრესი შეშფოთებულია იმის გამოც, რომ უკანასკნელი ორი წლის მანძილზე ახლადფეხადგმული დემოკრატიზაციის პროცესი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისა კი არ ძლიერდება, არამედ საგრძნობლად იზღუდება — პრესისა და ტელევიზიის მუშაკებმა ელვის სისწრაფით გადაიტანეს ქვეშევრდომული მზერა კომუნისტური პარტიისაგან მრგვალი მაგიდისაკენ და ამ ანტიდემოკრატიულ მანევრს დაუფარავი სიამაყით ახორციელებენ — სულ ათიოდე დღეში გაჩნდა ახალი ისტებლიშმენტი, პრივილეგირებულთა ჯგუფები, რომელთა შევსებაც სარეკორდო ტემპებით მიმდინარეობს.

საქართველოს უზენაესი საბჭო, ამჟამად კანონიერია მხოლოდ იმპერიული კანონმდებლობის თანახმად, მაგრამ კანონიერი გახდება ზნეობრივი, ისტორიული და სამართლებრივი თვალსაზრისით, თუ საქართველოს რეალურ პოლიტიკურ მდგომარეობას იურიდიულად გააფორმებს, უარს იტყვის ფიქტიურ უზენაესობაზე, რომლის განხორციელება არ ძალუძს საქართველოს ტერიტორიაზე, რადგან საქართველოს ტერიტორია ოკუპირებულია იმპერიის შეიარაღებული ძალების მიერ და საკუთარ თავს უწოდებს იმას, რაც უნდა იყოს ჭეშმარიტი ეროვნული მოძრაობის პოლიტიკური მრწამსის თანახმად:

დაუმორჩილებლობის სტადიაში შესული კოლონიური ქვეყნის თვითმმართველობის დროებითი ორგანო, არჩეული თავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხის მიერ! საქართველოს უზენაეს საბჭოს ამ პოლიტიკური აქტის განხორციელება გაუჭირვებლად შეუძლია, რადგან დეპუტატთა კორპუსის უმრავლესობა გუშინ და გუშინწინ ჭეშმარიტ ეროვნულ მოძრაობას, კერძოდ, მის რადიკალურ ნაწილს — შეურიგებელ ოპოზიციას — აკუთვნებდა თავს და თუ მათ დღესაც აქვთ პრეტენზია იმისა, რომ შეურიგებელი ოპოზიციის წევრებად ითვლებოდნენ, მოვალენი არიან ერთგულნი დარჩნენ შეურიგებელი ოპოზიციის პოლიტიკური მრწამსისა!...

ღმერთი ჰფარავდეს საქართველოს — ამინ!

1990 წლის 30 ნოემბერი.

საქართველოს ეროვნული კონგრესის დადგენილება № 1

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს ეროვნული კონგრესის II სესიაზე წარმოდგენილი პროექტი საქართველოს ეროვნული კონგრესის საქმიანობის უმთავრესი პრინციპების, სტრუქტურებისა და მუშაობის წესის შესახებ.

2. მოცემული დოკუმენტი საფუძვლად დაედოს საქართველოს ეროვნული კონგრესის საქმიანობას მისი უფლებამოსილების პერიოდში.

საქართველოს ეროვნული კონგრესის დადგენილება № 2

1. დამტკიცდეს საქართველოს ეროვნული კონგრესის პრეზიდიუმი შემდეგი შემადგენლობით:

ი. ბათიაშვილი, გ. გოგბაიძე, მ. გიორგაძე, ჯ. იოსელიანი, გ. კობახიძე, რ. მიქაბერიძე, ვ. მთავრიშვილი, გ. ჟორჟოლიანი, ი. სარიშვილი, თ. სუმბათაშვილი, თემ. ფიფია, თორ. ფიფია, ი. ქადაგიშვილი, თ. შარმანაშვილი, თ. ჩხეიძე, ი. წერეთელი, გ. ხაინდრავა, ი. ხაინდრავა, ვ. ხუხუნაიშვილი, ნ. ჭავჭავაძე, გ. ჭანტურია.

2. საქართველოს ეროვნული კონგრესის პრეზიდიუმი შეუდგეს თავისი მოვალეობების შესრულებას.

რედაქციისაგან: ბ-ნ თეიმურაზ სუმბათაშვილის მოხსენების დიდ ნაწილს კატეგორიულად არ ვეთანხმებით. ამჯერად დაწვრილებით არ შევუდგებით სადავო საკითხების განხილვას, მაგრამ ვთხოვთ უზენაესი საბჭოს წევრებს და საზოგადოების წარმომადგენლებს, გაზეთის უახლოეს ნომრებში გამოხატონ თავიანთი პოზიცია მოხსენებაში დასმულ საკითხებთან დაკავშირებით.

აქვე გთავაზობთ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრესცენტრის განცხადებას, რომელიც რამდენიმე ხნის წინ ტელევიზიით გადაიცა.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრესცენტრის განცხადება

ა. წ. 3 დეკემბერს საქართველოს ტელევიზიით გადაიცა ეროვნული კონგრესის წარმომადგენლების თ. სუმბათაშვილის, ი. წერეთლისა და რ. მიქაბერიძის გამოსვლები კონგრესის სესიაზე, სადაც ხსენებულმა პირებმა რიგი ბრალდებები და ულტიმატუმები წაუყენეს ახლადარჩეულ უზენაეს საბჭოს და მის თავმჯდომარეს.

კერძოდ, ითქვა, რომ ქართველმა ერმა ჩაიდინა დანაშაული იმით, რომ ოკუპაციის პირობებში აირჩია უზენაესი საბჭო, რომ ეს საბჭო არ არის უზენაესი და იგი სხვა ძალას ემორჩილება, რომ არც ერთ სესიაზე არ ხსენებულა საქართველოს ოკუპაცია და კერძოდ საოკუპაციო ჯარების საქართველოდან გაყვანის პრობლემა, რომ საქართველო არ გამოუცხადებიათ ანექსირებულ ქვეყნად, რომ თავმჯდომარის გამოსვლაში არაფერია ნათქვამი საოკუპაციო ჯარების გაყვანაზე და რომ ახალი უზენაესი საბჭო ლამის მოკავშირეა ოკუპანტებისა. ამასთან ეს პირები ულტიმატუმის ფორმით მოითხოვდნენ უზენაესი საბჭოსგან საქართველოსთვის კოლონიური სტატუსის მინიჭებას.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს უზენაესი საბჭოს პრესცენტრი უფლებამოსილია განაცხადოს შემდეგი: ხსენებული პირების განცხადებები არ შეესაბამება სინამდვილეს, ვინაიდან ახლადარჩეული უზენაესი საბჭოს სესიებზე განხილულ და დამტკიცებულ დოკუმენტებში, გამომსვლელთა სიტყვებში ხაზგასმით აღინიშნება, რომ საქართველო ოკუპირებული, ანექსირებული ქვეყანაა და რომ საჭიროა საერთაშორისო სამართლის დონეზე დაყენება საკითხისა საქართველოდან საოკუპაციო ჯარების გაყვანის შესახებ. წინარეს ყოვლისა ეს ყოველივე აღნიშნულია საქართველოს კონსტიტუციის შესწორებებში, სახელდობრ ახალ პრეამბულაში, სადაც ვკითხულობთ: „**1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთმა უხეშად დაარღვია 1920 წლის 7 მაისის სამშვიდობო ხელშეკრულება და შეიარაღებული აგრესიის გზით მოახდინა საქართველოს ოკუპაცია. რასაც შემდგომში მოჰყვა მისი ფაქტობრივი ანექსია**" (იხ. გაზეთი „ახალი საქართველო", 15 ნოემბერი, 1990 წელი), ასე რომ, როგორც ვხედავთ, საქართველოს ოკუპირებული და ანექსირებული ქვეყნის სტატუსს აძლევს თვით შესწორებული კონსტიტუცია. რაც შეეხება საქართველოდან საოკუპაციო ჯარების გაყვანის საკითხს, საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის, ბ-ნ ზვიად გამსახურდიას გამოსვლაში არა მარტო დაყენებულია ეს საკითხი, არამედ ნაჩვენებია, თუ რა გზით უნდა განხორციელდეს ეს ყოველივე. კერძოდ, თავმჯდომარის გამოსვლაში ნათქვამია: „ეროვნული ხელისუფლება იმის გამო ავირჩიეთ, რათა ჩვენს ქვეყანაში დაიწყოს ანექსიის შედეგების ლიკვიდაცია და აღდგეს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა. სხვა საკითხია საქართველოს ცნობა ოკუპირებულ ქვეყნად, **საბჭოთა ჯარისთვის უცხო ქვეყნის არმიის სტატუსის მიცემა და საერთაშორისო სამართლის დონეზე საქართველოდან საბჭოთა საოკუპაციო ჯარების გაყვანის საკითხის დაყენება, რისთვისაც აუცილებელი იქნება მოლაპარაკების დაწყება ცენტრთან და დასავლეთის ქვეყნებთან**" (იხ გაზეთი „ახალი საქართველო", 1990 წ. 16 ნოემბერი). ასე რომ, მტკიცება იმისა, თითქოს თავმჯდომარემ თავის გამოსვლაში არ ახსენა საოკუპაციო ჯარი და არ დააყენა მისი გაყვანის საკითხი, მტკნარი სიცრუე და ცილისწამ[illegible]

ზემოხსენებულმა პირებმა ბრალი დასდეს უზენაეს საბჭოს, თითქოს მან არ გააუქმა საბჭოთა სტრუქტურები და მხოლოდ კადრების შეცვლა დაიწყო. ამ ბრალდების აბსურდულობას პირველ რიგში ცხადყოფს ის, რომ საქართველოში ახალმა ხელისუფლებამ უკვე გააუქმა პარტოკრატიის ცენტრი, კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, როგორც მმართველობის ორგანო, კომპარტია აღარ არის მმართველი პარტია და დღითი დღე მცირდება მისი ზეგავლენის სფეროები. ამავე დროს გაუქმდა ძველი ე. წ. უზენაესი ერთპარტიული საბჭოს დანიშვნითი სტრუქტურა და დამკვიდრდა მრავალპარტიული პარლამენტის არჩევითი სტრუქტურა. რაც შეეხება ხელისუფლების უზენაესობას, ეს გამოიხატა იმით, რომ საქართველოს ტერიტორიაზე დღეს საბჭოთა კონსტიტუცია პრაქტიკულად აღარ მოქმედებს, ვინაიდან მიღებულია სპეციალური დადგენილებები საბჭოთა კანონების მოქმედების შეჩერების შესახებ და შესაბამისი შესწორებებიც შეტანილია კონსტიტუციაში. შინაგან საქმეთა სამინისტრო და სუკ-ი პრაქტიკულად გამოეყო მოსკოვის დაქვემდებარებას, რამაც ცენტრის უმწვავესი რეაქცია გამოიწვია. რაც შეეხება კომპარტიის სტრუქტურების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების გაუქმებას რაიონებში, ამას სჭირდება მუნიციპალური არჩევნების ჩატარება, მიწის შესახებ კანონის მიღება, მოქალაქეობის სტატუსის შემოღება და სხვა ღონისძიებები, რასაც სჭირდება გარკვეული დრო. კონგრესის მესვეურების მტკიცებით ჩვენ არა გვაქვს უფლება საქართველოს რესპუბლიკად გამოცხადებისა. ამით ისინი ეწინააღმდეგებიან საკუთარ თავს, ვინაიდან მათ არაერთხელ აღუნიშნავთ, რომ აგრესიის, ოკუპაციისა და ანექსიის მიუხედავად საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას იურიდიულად არსებობა არ შეუწყვეტია, იგი დღესაც არსებობს, მით უმეტეს, რომ მის კანონიერ მთავრობას კაპიტულაციაზე ხელი არ მოუწერია. რაც შეეხება იმას, თუ ვინ უნდა იყოს დღეს მემკვიდრე ამ მთავრობისა, რომელიც დღეს ფიზიკურად აღარ არსებობს, ვგონებ დაგვეთანხმებიან, რომ ასეთი პრეტენზია ვერ ექნებათ იმ მთავრობის წარმომადგენელთა მხოლოდ პარტიულ კოლეგებს, ან სისხლით ნათესავებს. მათი მემკვიდრე შეიძლება იყოს მხოლოდ ის, ვინც აირჩია ქართველმა ხალხმა დღეს, რაც შეეხება იმ მოსაზრებას, რომ ოკუპაციის პირობებში არჩევნების ჩატარება დანაშაულია, რომელიც ქართველმა ხალხმა ჩაიდინა უმეცრებით, მაშინ ასეთ „უმეცრებად" და „დამნაშავეებად" უნდა გამოვაცხადოთ აგრეთვე ჩეხეთისა და სლოვაკეთის, უნგრეთის, გერმანიის, პოლონეთის, ლიტვის ხალხები. ასე რომ, ამგვარი განცხადების ავტორებს თავად ღალატობთ ცოდნა არა მარტო საერთაშორისო სიმართლისა, არამედ უახლესი ისტორიისაც. რაც შეეხება ხსენებულ პირთა განცხადებას კოლონიური სტატუსის შესახებ, აქაც ცნებათა აღრევასთან გვაქვს საქმე. როდესაც კოლონია აცხადებს ეროვნულ და სამოქალაქო დაუმორჩილებლობას და მიაღწევს ეროვნული ხელისუფლების არჩევას და ეროვნული მთავრობის ჩამოყალიბებას, იგი უკვე აღარ არის კოლონია, არამედ დომინიონი, როგორც ამას ადგილი ჰქონდა, მაგალითად, ინდოეთში. ასე რომ, საქართველოს დღევანდელი სტატუსი შეიძლება უფრო დომინიონს შევადაროთ, ვიდრე კოლონიას. არჩევნები იყო უდიდესი აქტი ე. წ. ცენტრისადმი ეროვნული დაუმორჩილებლობისა, დაუმორჩილებლობა დღესაც გრძელდება, რაზედაც მოწმობს ჩვენი ყოველდღიური ურთიერთობა ცენტრთან და ამაზე თვალის დახუჭვა ძალუძთ მხოლოდ ავისმჩხრეკელებს. მთელი ერის ძალისხმევაზეა დამოკიდებული გარდამავალ პერიოდში სოციალისტური სისტემის სრული დემონტაჟი, ეროვნული საბანკო და სავალუტო სისტემის შექმნა, თვითმყოფადი ეროვნული ეკონომიკის აშენება, ეროვნული არმიის შექმნა, საერთაშორისო სამართლის ჩარევით საოკუპაციო ჯარების გაყვანის მიღწევა და საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის სრული აღდგენა.

4 დეკემბერი, 1990.

პრობლემა

„ქვაში ცოცხლობს უჩინარი ჩრდილი..."

ეს წერილი 1983 წლის ივლის-აგვისტოში დაწერილი ჯავისა და ზნაურის რაიონებში ჩატარებული სამეცნიერო ექსპედიციის შემდეგ; იმავე წლის აგვისტოში ჩაბარდა გაზეთ „კომუნისტის" რედაქციას და მომზადდა დასაბეჭდად. სამწუხაროდ, არათუ თვეების შემდეგ, არამედ წლების გასვლის შემდეგაც არ დაბეჭდილა. რედაქციამ კიდევ ერთხელ შემომთავაზა განმეახლებინა მასალები; ასეც მოვიქეცი 1985 წელს, მაგრამ წერილი მაინც არ დაიბეჭდა. ქვემოთ მოცემული წერილის დაწერიდან შვიდი წელი გავიდა და ჯავისა და ზნაურის რაიონებში ძეგლთა მდგომარეობა კიდევ უფრო დამაფიქრებელი გახდა, ყოველ შემთხვევაში, საქმეს სასიკეთო პირი არ უჩანს.

ზემოაღნიშნული წერილის შემდეგ, 1984 წელს ცხინვალისა და ლენინგორის რაიონებზეც დავწერეთ მსგავსი წერილი, მაგრამ რედაქციაში არ მიგვიტანია. ქვემოთ გთავაზობთ 1983 წელს გაზეთ „კომუნისტში" ჩაბარებულ წერილს უცვლელად.

●

ჩვენს მშობლიურ მიწა-წყალს, მის ყოველ კუთხეს თავისი ისტორია აქვს, რომლის უტყუარი ნიმუშები, მრავალფეროვანი და უზადო ხელოვნების არქიტექტურული ნიმუშები, მთელს ტერიტორიაზეა გავრცელებული. ჩვენი წინაპრები მთასა თუ ბარში აგებდნენ ამ ძეგლებს, რაშიც საქართველოს უნიკალური ბუნებრივი პირობებიც უწყობდათ ხელს. მათ დასაცავად ჩვენი ხალხი საუკუნეების განმავლობაში ებრძოდა მოძალადეებს. თვით ავბედობის დროსაც კი არ შეწყვეტილა ხუროთმოძღვრული მშენებლობა და ქართველი კაცი იპოვიდა თუ არა მტრისაგან შესვენების პერიოდს, ეწეოდა აღმშენებლობით საქმიანობას. ამიტომაცაა, რომ საქართველოს მთა-ბარი მოფენილია ძველი არქიტექტურული ხელოვნების შესანიშნავი ნიმუშებით.

საქართველოს ყველა კუთხეში გვხვდება მნიშვნელოვანი არქიტექტურული ძეგლები, რომლებიც ჟამთა სიავეს გადაურჩნენ. ამ მხრივ ერთ-ერთი საპატიო ადგილი ჯავისა და ზნაურის რაიონებსაც ეკუთვნის. აქ თავმოყრილია ყველა ეპოქის მატერიალური კულტურის ნიმუშები, რომლებიც ხელოვნების შესანიშნავ ქმნილებებს წარმოადგენენ. ციხესიმაგრეები და ციხეკოშკები, ქრისტიანული ბაზილიკები და ცენტრალურ-გუმბათიანი ჯვრის რიგის ეკლესიები; ჯავისა და ზნაურის რაიონების რამდენიმე ძეგლი სახელმწიფო დაცვაზეა აყვანილი; დანარჩენების დაცვა, რომელთა რიცხვი ათეულობით განისაზღვრება, თვით რაიონების მშრომელებზეა მინდობილი. მაგრამ შევნიშნავთ, რომ აღნიშნული რაიონების ძეგლთა მოვლა და დაცვა ვერ დგას სათანადო სიმაღლეზე.

ზემოაღნიშნული სიტყვები რომ ლიტონი არ მოგვეჩვენოს, დაწვრილებით ვისაუბრებთ უმთავრეს კულტურის ძეგლებზე და სამსჯავროზე გამოვიტანთ მათ დღევანდელ მდგომარეობას, რათა ძეგლების სატკივარი და წუხილი თქვენც გაგანდოთ.

მიმდინარე წლის ივლის-აგვისტოში სამეცნიერო მივლინებით ვიმყოფებოდით ჯავისა და ზნაურის რაიონებში; ჩვენს მიზანს შეადგენდა ისტორიული გეოგრაფიის საკითხების შესწავლა. აღნიშნულ რაიონებში მოხილულ იქნა ყველა ისტორიული ეპოქის მატერიალური კულტურის ძეგლი — ნაციხარ-ნასასახლევი, ძველი სამეურნეო ნაგებობები და სხვა. აღირიცხა ტოპონიმიკური მასალა, მოხდა სხვადასხვა სათანადო გადმოცემათა ფიქსაცია, დადგინდა ძველი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული საზღვრები და ბუნებრივ-ეკონომიკური თავისებურებანი. ამ საკითხების გვერდით პირველსავე დღეს ჩვენს წინაშე დაისვა კიდევ ერთი საკითხი — რაიონებში კულტურის ძეგლების მოვლა-პატრონობისა. თავიდანვე ნანახი და განცდილი საოლქო გაზეთ „საბჭოთა ოსეთის" ფურცლებზე გადმოვეცით. ამასთან, არ შეგვეძლო გვერდი აგვევლო სხვა ძეგლებისთვისაც, და რარიგ შორეული წარსულისა თუ მოგვიანო პერიოდის ძეგლებს უნდა ეხებოდეს ეს წერილი, მისი ეპიცენტრი მაინც დღევანდელობაა. ეს ბუნებრივიცაა; მწერალ ლევან გოთუას სიტყვებისა არ იყოს, „მთელი ერი ერთდროულად ცხოვრობს წარსულის გრძნობით, აწმყოს შემოქმედებითი შეგნებითა და მომავლის იმედით..."

ერთ-ერთი თვალსაჩინო ძეგლია „კვაისის ჯვარი". ძეგლიო, ვამბობთ იმიტომ, რომ იგი სახელმწიფო დაცვაზეა აყვანილი, თორემ ახლა აქ მიმოფანტული ქვების გარდა არაფერია დარჩენილი. ადგილი კი ნაომარს უფრო ჰგავს, ვიდრე კულტურის ძეგლის ადგილსამყოფელს. აქ X საუკუნის დარბაზული ტიპის ეკლესია მდგარა, რომელიც მოპირკეთებული ყოფილა კარგად გათლილი ქვის კვადრებით. სამხრეთით მდიდრულად მორთული სამმალიანი შესასვლელი ჰქონია. მისი მთავარი ღირსება მაინც რელიეფური ორნამენტული გამოსახულებანი და ასომთავრული ლაპიდარული წარწერები ყოფილა. სამწუხაროდ, დღეს მთელ ფერდობზე მიმოფანტულია ეკლესიის თლილი და ჩუქურთმიანი ქვები. ადგილზე დარჩენილია რამდენიმე შესანიშნავი ფილა. ერთზე გამოსახულია ორი მებრძოლი ჯვრით ხელში. ფილის მარცხენა მხარეს ასომთავრულით ამოკვეთილია „არ". მეორე ფილაზე კი გამოსახულია ეგვიპტეში გაქცევის სცენა, სადაც ამოკვეთილია: „არსენს და მშობელთა მისთა შეუნდვნეს ღმერთმა". აქვე არის ფილა, რომელზედაც ჯვარია ამოკვეთილი. ეკლესია უხვად ყოფილა შემკული მსგავსი ბარელიეფებით, სკულპტურული ნიმუშებით და ლაპიდარული წარწერებით. ახლა მცირე ნაწილი არქიტრავის ფრაგმენტებისა ღია ცის ქვეშ ჰყრია და ელის გადამრჩენელს. წლების განმავლობაში ასეულობით კულტურის ძველი ძეგლი მინახავს, მაგრამ ასეთი რამ არასდროს არსად არ შემხვედრია; აქაურობა გავერანებულია, ირგვლივ ქვებისა და ხეების, ბოთლებისა და სხვადასხვა ნარჩენების გროვებია. ხეების ფესვებსა და მიწაში ჩაფლულია ეკლესიის ნანგრევები. აქ იკრიბებიან ადამიანები, რომელთაც ხის მაგიდები და სკამები გაუწყვიათ; სხვადასხვა ჯურის მოქეიფეთაგან რელიეფით დამშვენებულ არქიტრავის ფრაგმენტებზე მილეწილია ჭურჭლის ნამსხვრევები. ასეთი უგუნური მოქმედების შედეგად ზიანდება ბარელიეფები და უძვირფასესი ნახელავი უკვალოდ ქრება.

გულდამძიმებული და დამწუხრებული ვტოვებ შემოგარენს... ცრემლები სდის ეკლესიის ნარჩენებს... ვეშვები დაბა კვაისის სამთო-გამამდიდრებელი ფაბრიკის ტერიტორიაზე და ვფიქრობ — ნუთუ ამოდენა დაბაში, სადაც 2 ბიბლიოთეკა, კულტსახლი, საშუალო სკოლა-ინტერნატი, სამკერვალო ფაბრიკა და სხვა დაწესებულებანია და, რაც მთავარია, აქ ხომ ძვირფასი ლითონების მოპოვება ხდება — არავინ გამოიჩინა ინიციატივა, ძეგლისთვის შეფობა გაეწიათ და ეხსნათ წინაპართა უძვირფასესი ნახელავი... თუმცა, ვის რაში ენაღვლება ქართული კულტურის ძეგლი, მადლობა თქვი, რომ სულ არ გაანადგურა ეს უნიკალური ბარელიეფები არაქართულმა მოსახლეობამ...

მრავალჯერ მიწისძვრისაგან, კიდევ უფრო მეტჯერ მტრისაგან დაზიანებული „კვაისის ჯვარი", საუკუნეების განმავლობაში ნალოლიავები, მამა-პაპათა ძვირფასი მემატიანე, ქართული რენესანსის ძეგლის ფრაგმენტები ელის მზრუნველ ხელს...

მხარის სხვა ძეგლებთან ერთად ჩვენი ყურადღება განსაკუთრებით მიიპყრო შუა ფრონის სათავეში მდებარე გომართის ეკლესიამ. იგი სოფელ ვახტანის (ძველი ხტანას ანუ ხრტანის) ჩრდილოეთით, დაახლოებით 6 კილომეტრის დაშორებით, ზღვის დონიდან 1550 მეტრზე მდებარეობს ხშირი ტყით შემოსილ მოსწორებულ ზედაპირზე. აქ ამჟამად შემორჩენილია ეკლესიის კედლები გარდა სამხრეთისა; რომლის მინიატურული აღდგენილი სახე იქვე გდია, ბალახებში ჩაფლული სახურავიდან რომ ჩამოვარდნილა. ეკლესიის აფსიდი რამდენადმე შენარჩუნებულია, ჩრდილო და დასავლეთი კედლები ჯერ კიდევ დგას, მაგრამ დიდ საშიშროებას უქმნის, გარედან ვეებერთელა ხე რომ გადაყრდნობია ჩრდილო კარნიზს. სახურავი მთლიანად ჩანგრეულია და ბევრი ნარჩენი შიგვე ყრია. შიგნითვეა ამოსული 5-6 მეტრის სიმაღლის რამდენიმე ხეც. ამჟამად ეკლესიაში შემთხვევით გადარჩენილი თირის ჩუქურთმიანი ქვა საშიშროების წინაშეა. მასზე ამოკვეთილია აგრეთვე წმინდა გიორგის მცირე ქანდაკება. კედლები შელესილი და მოხატული ყოფილა. მათი დიდი ნაწილი განადგურებულია. გადარჩენილი ფრაგმენტები კი ძვირფასი მასალაა ხელოვნების ისტორიისათვის. თოვლსა და წვიმაში, ქარსა თუ მზეში ნადგურდება შემორჩენილი უნიკალური ფრესკები. ამიტომ გაკვირვებას იწვევს ის ფაქტი, რომ ძეგლი დღემდე არ არის სახელმწიფო დაცვაზე აყვანილი... მსგავსი უყურადღებობის შედეგად „ბოცვისჯვრის" (ტბეთი) X-XI საუკუნეების ძეგლის თლილი ქვები ჩუქურთმიან ქვებთან ერთად ცხინვალის ფსიქიატრიული საავადმყოფოს კედლებში ჩაიკარგა...

გომართის ეკლესიის ჩრდილოეთის კედელზე შემორჩენილია სამი საერო მამაკაცის ფრესკული ნაწილები, რომელთაც ახლავთ ასომთავრული წარწერები. პირველს „ზვიადი", მეორე და მესამე წარწერები დაზიანებულია და შესაბამისად იკითხება „ჰ.როზ" და „ოშვის" (?), ხოლო უკანასკნელის ქვეშ მხედრულით მიწერილია „სიაუშ". დასავლეთის კედელზე შედარებით უკეთ არის შემორჩენილი ბიბლიურ თემაზე შესრულებული ფრესკები. ზემოთ დარჩენილია მაცხოვრის თავი. მხატვრობის კვალი სხვა ადგილებზეც შეიმჩნევა, მაგრამ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ძეგლის ჩრდილო კედლის სვეტზე შემორჩენილი გვირგვინოსანი ქალის ფრესკის ფრაგმენტი. იგი იწყება თითქმის ზემოდან, დაახლოებით 5 მეტრის სიმაღლიდან, გრძელდება 90 სმ-ის ფარგლებში და წყდება ქალის წელთან. ჩანს იგი მთლიანად ყოფილა გამოხატული, ქვემოთ ვრცელი წარწერა ყოფილა, რომლის მხოლოდ ფრაგმენტებია ახლა შემორჩენილი. ვინ არის გვირგვინოსანი ქალი? იგი არა მარტო გვირგვინოსანია, არამედ სამეფო ტანსაცმლითაა. ხალხში გავრცელებულია თქმულება, რომ ეს ფრესკა თამარ მეფეს ეკუთვნისო. ახლა, სპეციალისტების გულდასმით ანალიზის გარეშე ძნელია ამის მტკიცება, მაგრამ გაკვირვებას იწვევს ის ფაქტი, რომ მასზე დღემდე არ არის კვლევა ჩატარებული; ხოლო ეკლესიის გადარჩენილი ფრესკები უმოწყალოდ ნადგურდება არა მარტო ბუნების მოვლენებისაგან, არამედ ზოგიერთი შეუგნებელი პირისაგან.

გომართის ეკლესიის შესახებ ჯერ კიდევ ვახუშტი ბაგრატიონი აღნიშნავდა: „ხტანას ზეით არს ეკლესია მთასა შინა, წოდებული გომართა, აწ ცარიელი, მუნიდან წარვალს გზა ლოხოისის მთასა ზედა, და პერანგას მთასა ზედა გარდავალს იმერეთს ქალასა შინა". გომართა აღნიშნულია აგრეთვე ვახუშტისავე რუკაზე და ხუთვერსიან რუკაზეც. თანამედროვე რუკებზე გუმართა არის აღნიშნული. XIX საუკუნის ბოლოს „კავკასიის არქეოლოგიურ მასალებში" მოხსენიებულია გომართის ეკლესია. სერგი მაკალათია თავის წიგნში — „ფრონის ხეობა" — აღნიშნავს: „ჩრდილოეთის კედლის ქვის სალტეზე მაღლა შერჩენილია ქალის წელზემო გამოხატულება თავზე გვირგვინით". მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ს. ფალავანდიშვილი კი „ძეგლის მეგობარში" (1971 წ.) წერდა: „სვეტის თავზე მნიშვნელოვანი ფიგურა საკმაოდ გაფერმკრთალებულია, მის ქვეშ შემორჩენილია დიდი წარწერის კვალი". შემდეგ აღნიშნავდა, რომ „ძეგლი საგრძნობლად დაზიანებულია და საჭიროებს გადაუდებელ ყურადღებას და სასწრაფო შემაგრებას". მიუხედავად ამისა, ძეგლისათვის სასიკეთოდ არავის უხლია ხელი. ძეგლის შემოგარენი დანაგვიანებულია და შემოუღობავია. აქ ათასი ჯურის მომსვლელისაგან შეშისა და ცეცხლის ნაშთებით ირგვლივ მოფენილია მიდამო, ხოლო შეწირული ცხვრის ტყავის ნარჩენებით დაბინძურებულია ტერიტორია. არანაკლები უსუფთაობაა ძეგლის გადარჩენილ ნაწილში. ვახტანისა და გომართის ძეგლების დათვალიერებისას ჩვენთან ერთად იმყოფებოდა ნიკოლოზ ოთინაშვილი, ამ რაიონების დიდი მცოდნე, მხარის დაუღალავი პატრიოტი, რომელსაც თითქმის ფეხით აქვს შემოვლილი ფრონეების, ლიახვისა და ქსნის ხეობები.

და აი, გასულ წელს, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა იოსებ მეგრელიძემ გაზეთ „საბჭოთა ოსეთში" (12 იანვარი, 1982 წ.) გამოაქვეყნა მეტად საყურადღებო, წინასწარი ცნობა გომართის ეკლესიის შესახებ, რომლითაც, ვფიქრობთ, მკვლევარები დღემდე არ დაინტერესებულან. ი. მეგრელიძისათვის ადგილობრივებს უცნობებიათ, რომ გომართის ეკლესიაში „ცალკე ქალია წელს ზევით დახატული, რომელზეც ამბობენ თამარ მეფეა"... პროფ. ი. მეგრელიძე სხვებთან ერთად წასულა გომართაში და ზემოთ აღნიშნული წერილი ძეგლის მოკლე აღწერას შეეხება. მასში ვკითხულობთ: „...სპეციალურ შესწავლას მოითხოვს ხსენებული ქალის ფრესკული გამოსახულება. თუ იგი მართლაც თამარ მეფეა, ეს იქნება მ ე ხ უ თ ე, დ ღ ე მ დ ე უ ც ნ ო ბ ი ს უ რ ა თ ი, რაც ძალიან მნიშვნელოვანია".

ჩვენ ვფიქრობთ, რომ გომართის ეკლესია და მისი შემოგარენი იმსახურებს მეტ ყურადღებას, ძეგლი მოითხოვს სასწრაფო შეკეთებას და დეტალურ შესწავლას, რაც ბევრ საგულისხმო საკითხს მოჰფენს შუქს. ამჟამად გომართის ეკლესია დიდი პოპულარობით სარგებლობს არა მარტო ადგილობრივ მოსახლეობაში, არამედ შორეულ დასახლებებში. აქ წლის ყველა დროს, და განსაკუთრებით ივნისის თვეში, „გომართობის" დღესასწაულზე უამრავი ღვთისმორწმუნე იყრის თავს. სამწუხაროდ, მის გაწმენდასა და მოვლა-პატრონობაზე არავინ ფიქრობს. უფრო მეტიც, ზოგიერთი შეუგნებელი პირისაგან ზიანდება ფრესკები და ძეგლის შემოგარენი. ბევრ წმინდანს თვალები აქვს დაჩიჩქნილი.

ძეგლები ზიანდება, სასჯელს არავინ ღებულობს. მე მომეჩვენა, რომ ზემოთ აღწერილი ძეგლები „ღვთის ანაბარად" არიან მიტოვებული. ეს ძეგლები მეტ სიფრთხილეს და პატივისცემას იმსახურებენ. ასე არ უნდა ექცეოდნენ საუკუნეების განმავლობაში ნალოლიავებ მამა-პაპათა ძვირფას დანატოვარს, ქართული კულტურის საუკეთესო ნიმუშებს. საუკუნეების ნაგებობების ასეთი მოვლა-პატრონობა არ შეიძლება. ცხოვრობდე სოფლის სიკეთით და არ იცავდე მის წმინდათა წმინდა ისტორიულ ადგილებს, არავის ეპატიება. ყველას და ყველაფერს პერიოდული კი არა, მუდმივი მზრუნველობა ესაჭიროება.

ძეგლების მიხედვით ჩვენ ვსწავლობთ წარსული ეპოქის ხელოვნების, მშენებლობის ოსტატობასა და ტექნიკას. ძეგლები დაუშრეტელი წყაროა მხატვრებისა და არქიტექტორების შემოქმედებისათვის. ისინი წარმოადგენენ ხიდს ძველსა და ახალ თაობებს შორის, ფესვებს იმ მუხისას, რომელსაც ჩვენ სამშობლოს ვუწოდებთ. ჯავისა და ზნაურის რაიონების მშრომელები უნდა ამაყობდნენ მათ ტერიტორიაზე განლაგებული უნიკალური და უიშვიათესი წარსულის ნაგებობებით. მარტო თიღვისა და ოქონის ტაძრების, ნადარბაზევისა და დოდოთის ეკლესიათა გახსენება რად ღირს! დიდი ილია ამბობდა: „დავიწყება ისტორიისა მომასწავებელია ერის სულით და ხორცით მოშლისა, დარღვევისა და წარწყმედისაც, წარსული მკვიდრი საძირკველია აწმყოსი, როგორც აწმყო მომავლისა".

მხარის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ძეგლს თიღვის მონასტერი წარმოადგენს. იგი ჯვრის ტიპის გუმბათიანი ტაძარია, რომელიც მოპირკეთებულია თლილი ქვის კვადრებით. ჩრდილოეთის მხარეს სარკმლის თავზე ჩასმულია ფილაქვა, რომელიც მოჩუქურთმებულია და შუაში ჯვარია ამოკვეთილი. ასომთავრული ლაპიდარული წარწერა გვამცნობს: „ქმნილებამან რაჲ აქჳსა სოფლისამან სხჳი მიიღოს დაწყება ყოფადისასაჲ მოქმედებითა შენზედა ჯვარცმულისა ქრისტჱს ღმრთისაჲთა, რომელსა მიმართ ჟამსა მას შემწე მექმნენ მსახურსა შენსა თამარს". წარწერაში მოხსენიებული მონასტრის აღმშენებელი დავით აღმაშენებლის ასული თამარია, რომელიც მონაზვნად აღკვეცილა და 1152 წელს თიღვის მონასტერი აუგია. აქ ამჟამადაც თავს იყრიან საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. ტაძარი შიგნით გამოვსებულია უამრავი ხის მასალის ნარჩენებით, ხოლო გუმბათის შეკეთების დროს გაკეთებული ხარაჩოები დღესაც დაუშლელია. შიგნითვეა კრამიტის ნარჩენებიც, თუმცა ტაძარში წყალი ჩამოდის და აზიანებს ნაგებობის შიგა ნაწილს. თიღვის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი შემკულია მოჩუქურთმებული საპირეებით, რომელიც XII საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრული ორნამენტის საუკეთესო ნიმუშთა რიცხვს მიეკუთვნება. მინაშენის შესანიშნავი თაღი კი ამჟამად ეკლესიაში ინახება. ტაძარი მაღალი გალავნით ყოფილა შემოფარგლული. ახლა მისი კედლები ზოგან დადაბლებულია და თავისუფლად შედიან აღმოსავლეთის მხრიდან. განცვიფრებას იწვევს ის ფაქტი, რომ გალავნის შიგნით დასობილია ელექტრო ბოძები, რომლის მავთულებით დაფარულია ტაძრის ხედი. ნუთუ არ შეიძლებოდა ამოდენა სოფლის ტერიტორიაზე აეცდინათ ელექტრო ხაზები ტაძრის ეზოსათვის?

X-XI საუკუნის ეკლესიაა სოხთაში, რომლის მცირე გადარჩენილ ფრაგმენტებზე ხე-ბუჩქნარებია ამოსული. შიგნით ქვებისა და ღორღის გროვებია. იქვე ამოსული რამდენიმე ათეული წლის ნეკერჩხალი. სამხრეთის მხარეზე, ღია ცის ქვეშ, უნიკალური ლაპიდარული წარწერიანი ფილები და ორნამენტული ხელოვნების უძვირფასესი ნიმუშებია დაყრილი. ერთ-ერთ ფილაზე აღნიშნულია: „საყდარი დიდებისო შეიწყალე თეოდორე სულსა გიორგისა განუსვენე. წმიდაო ეკლესიაო შეიწყალე კალატოზი". აქვეა ჩუქურთმიანი სვეტებისა და ბარელიეფების ფრაგმენტები, რომელთა ნაწილზე აგრეთვე ასომთავრული ლაპიდარული წარწერებია. მოუვლელი და გავერანებულია ძეგლის ტერიტორია. ისტორიისათვის ეს ძეგლი მეტად საყურადღებოა, იგი ამჟამად სავალალო მდგომარეობაშია, თუმცა ძეგლი სახელმწიფო დაცვაზეა აყვანილი.

სავალალო მდგომარეობაშია აგრეთვე სოფელ არკნეთის დარბაზული ტიპის ეკლესია. ვახუშტი ბაგრატიონი შენიშნავს: „წუნარის-ხევს ზეით არს ეკლესია ერკნეთისა, დგანან მთაწმინდის მონაზონნი ბერძენნი". ამჟამად ხე-ბუჩქნარებით და ეკალ-ბარდებით არის მოცული მისი ტერიტორია, რომელიც სხვადასხვა ცხოველთა სათარეშოს წარმოადგენს. ვეებერთელა იფნის ხე, რომელიც ჩრდილო კედლიდან 2 მეტრის დაშორებით არის ამოსული, ზედა ვარჯით მთლიანად გადაწოლილია კედელსა და სახურავზე და დანგრევის პირას მიუყვანია ძეგლის საკმაო ნაწილი. ირგვლივ კი უსუფთაობა და უწესრიგობაა. სახურავიდან თქეშით ჩადის ეკლესიაში წყალი, რასაც იატაკის ფილებიც აუყრია. ძეგლის მცველი სრულიად ტყუილად იღებს ხელფასს, ხოლო აქაური მოსახლეობა თბილისში აგზავნის განცხადებებს და თხოვნით მიმართავს ძეგლის შეკეთება-აღდგენის თაობაზე. შემომჩივლეს: „რამდენჯერმე ვიყავით ამის თაობაზე თბილისში და განცხადებებიც შევიტანეთ და პასუხი არ ჩანსო". ძეგლის შემოგარენის დასუფთავებას და კედლებში ხე-ბუჩქნარების მოჭრას, ძეგლის შიგნით და გარეთ წესრიგში მოყვანას თბილისის ორგანიზაციები როდი სჭირდება. ბევრ რამეს თვით სოფელი უნდა მოუაროს. ამას წინათ ნოდარ წულეისკირი წერდა: „სოფლისა და რაიონის თავკაცები კულტურის სახლსაც, ფერმასაც, სკოლასაც, საავადმყოფოსაც, საერთოდ, ყველა სასოფლო ნაგებობას თვითონ პატრონობენ, კარსაც შეაბამენ ხოლმე და შეაკეთებენ კიდეც, როცა დასჭირდებათ. ერთადერთი, რაც თავისად არ მიაჩნიათ, კულტურის ძეგლია, კულტურის ძეგლს თითქოს ათასი პატრონი ჰყავს, სინამდვილეში გერივით არის სოფელ-ქვეყანაში".

თითქოს მოვლილია ოქონის, ნულის და ავნევის ძეგლები, მაგრამ ყველაფერი აქაც როდია რიგზე. ოქონის ეკლესიის XI-XII საუკუნეების ძველი ნანგრევებიც აღარ დარჩენილა. თუმცა ზოგი ორნამენტიანი ფილა ჩართულია მოგვიანო ხანის ეკლესიაში, რომელიც იქვეა აგებული. ძველი ეკლესიის უნიკალური ღვთისმშობლის ხატი ამჟამად მუზეუმშია დაცული. ოქონის მონასტრისა და მისი შემოგარენის ტერიტორია გავერანებულია, საქონლის სათარეშოა, ხოლო ეკლესიის შიგნით მაგიდები და სკამებია გაშლილი. ნულის ეკლესია მართალია შემოღობილია, მაგრამ ჭიშკარი წაქცეულია და ეზოში ანტისანიტარიაა. ეკალბარდები არის გარშემო. ეკლესიისა და მის მინაშენში არასაჭირო საგნებია მოთავსებული. ეკლესიის გარშემო ტერიტორია კი სოფლის ბავშვებსა და ახალგაზრდებს „ველოდრომად" უქცევიათ. ასევე მოუვლელია და ხე-ბუჩქნარების საკუთრებად ქცეულა ნულის ციხე და სასახლის ნანგრევები. ავნევის ღვთისმშობლის ეკლესია შემოღობილია, მაგრამ სისუფთავე აქაც როდი იგრძნობა. თვით ავნევის ეკლესიაში სკამები და მაგიდებია გაშლილი, ჩამონგრეული ქვები და ღორღი, ძიჟა და ქვიშაც იქვე ჰყრია. კედლები დაჯღაბნილ-დახატულია. ელექტროდენის გამანაწილებელი დაფა ხანძრის საშიშროების კერაა. გარე კედლებთან ბუჩქნარებია ამოსული. ავნევის არც სხვა ფეოდალური ხანის ძეგლთა ფრაგმენტებია უკეთეს მდგომარეობაში.

ძვიმლეთის ეკლესიას ბოქლომიც ადევს, მაგრამ ეს ფორმალურია; ჩრდილო მხარეზე მიშენებულ ნაგებობას სახურავი აღარ აქვს და აქედან თავისუფლად გადადიან ბავშვები და ახალგაზრდები, რომლებიც აბინძურებენ იქაურობას. ისინი აქ ეკლესიაზე მიდგმულ კოშკში იკრიბებიან, რომლის პირველ სართულსა და გარე კედლის ძირთან თავს იყრიან შინაური ცხოველები. ცხოველები ძირს უთხრიან ძეგლებს, ხოლო ბავშვები და ახალგაზრდები აბინძურებენ ეკლესიას. შუა საუკუნეების მტრის პირსისხლიანმა მთავარსარდალმა თბილისის „სიონი" ფეხსადგილად გაიხადა.



სად გაგონილა დღევანდელ პერიოდში ასეთი რამ? ვინ იცის, იქნებ აქ აზარტული თამაშობისათვისაც შედიან კოშკში ახალგაზრდები?

განადგურების პირზეა მისული სოფელ სარიტატას (ძველი ჯავისთავი) XI საუკუნის ეკლესია, რომელიც მთლიანად დაფარულია ხე-ბუჩქნარით. სავალალო მდგომარეობაშია სოფელ მსხლების ეკლესია და განსაკუთრებით მისი სამრეკლო. გავერანებულია ჯავის, ქემერთას, ქვემო როკის და სხვა ძეგლები. კატასტროფის წინაშეა ოყორის „ცხრაკარა" და თერგვანთან არსებული ტაძარი. ოყორის ზემოთ მდებარე მონასტრის ნანგრევები, მისი შესანიშნავი არქიტრავის ლაპიდარული წარწერიანი ქვა, რომელზედაც ჯვარია ამოკვეთილი, ასევე სვეტთა ფრაგმენტები ხავსისა და ღორღის საკუთრებად ქცეულა. მთელი ტერიტორია დაფარულია ხე-ბუჩქნარით და ვეებერთელა მონასტრის ნანგრევებით, რაც საშიშროებას უქმნის ძეგლს. ოყორის მოსახლეობა ვერც სოფელში მდგარი ეკლესიის მოვლით დაიკვეხნის.

სოფელ წორბისთან ახლოს ნაპოვნი ვეებერთელა ქვის ფილა, რომელზედაც ვრცელი ასომთავრული ლაპიდარული წარწერაა, ყოველგვარი ნებართვის გარეშე გადმოტანილია სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში და სხვა კიდევ მრავალ ფრაგმენტთან ერთად შეუფერებელ ადგილზე ჰყრია. დიახ, ჰყრია, რადგან ისინი კიბის ქვეშ და ეზოშია მიმოფანტული. ახლა ისიც ვიკითხოთ, რისთვის სჭირდებოდათ მათ ყოველივე ეს? მათ ინსტიტუტში ხომ არც ქართული თემატიკაა დასამუშავებელი და არც ქართველები მუშაობენ. ჩვენ ყოველივე ამას ეჭვის თვალით შევხედეთ... იქნებ, აქედან უფრო ადვილია ქართული მატერიალური კულტურის ძველი ნიმუშების მოსპობა?... თვით სოფელ წორბისში შემორჩენილია ეკლესია და კოშკი, რომლებიც ძალზე მოუვლელია. საერთოდ, ამ რაიონებში ორიოდე ძეგლის გარდა დანარჩენები შემოუღობავი და სავალალო მდგომარეობაშია. სოფელ წორბისში მდებარე კოშკი მოსახლეს საკუჭნაოდ გამოუყენებია, ხოლო მისი კედელი საპირფარეშოს მისადგმელად. ირგვლივ კი სიბინძურე და სანახირეა. დაახლოებით ასეთივე მდგომარეობაშია ყორნისის რამდენიმე კოშკი და ორი ეკლესია. საკვირველია, რა აკავებს ყორნისის ერთ-ერთ კოშკს წაქცევისაგან?

ზემოაღნიშნული რაიონების ბევრი ძეგლი ბოსელს უფრო დამსგავსებია, ვიდრე კულტურის ძეგლს. ზოგიერთ ძეგლში შიგნითვეა ცეცხლსანთები, უსარგებლო საგნების საკუჭნაო და მაგიდებისა და სკამების გროვები. ძეგლის მოვლა-დაცვაზე კი არავინ ზრუნავს. დასანანი ისიცაა, რომ სოფლის ცენტრში ორსართულიანი, თანამედროვე კაპიტალური ნაგებობების გვერდით დგას გატყავებული, სახურავჩაქცეული, ჭინჭრისა და სხვადასხვა ხეებისა თუ ეკალ-ბარდების გარემოცვაში მყოფი ეკლესია-მონასტრები, ჩვენი ისტორიის მემატიანეები. ცხადია, ძეგლის რესტავრაციას, გადახურვას (თუმცა გვხვდება თვითნებური, ყოველგვარი შეთანხმების გარეშე უნიჭო და უსახო გადახურვაც), კედლების გამაგრებას და სხვა ამგვარ სამუშაოებს რაიონებში ვერ შეასრულებენ, ამის უფლება მათ არც აქვთ, ამისათვის თბილისში არსებობს ცალკე დაწესებულებები და მათ უნდა მიმართონ დახმარებისათვის. მაგრამ როცა ეკლესიის კედელზე და სახურავზე მცენარე ამოვა, ვიდრე ხედ იქცეოდეს, თბილისის ორგანიზაციებს კი არ უნდა მიმართონ და დაელოდონ, ძეგლის მცველმა და სოფლის მშრომელებმა უნდა გაასუფთაონ, გაკაფონ მისადგომები, უსაქმურებსა და მუქთახორებს ძეგლთან ახლოს ცეცხლი არ უნდა დაანთებინონ და, ამდენად, გასაღების ჯიბეში ჩადებით არ უნდა დაკმაყოფილდეს ძეგლის მცველი. განა სხდომების მოწვევა და დადგენილების მიღებაა საჭირო იმისათვის, რომ შენს ძეგლს კარი ჩამოჰკიდო?! ამას კი ყველაფერს ორგანიზაცია სჭირდება, გული უნდა შესტკიოდეს ძეგლზე; თუმცა, რა ორგანიზაციაზე და გულშემატკივრობაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა ოლქში ძეგლთა დაცვის საქმეს დიდი ხანია საპენსიო ასაკის კაცი ხელმძღვანელობს. თავისთავად ეს ხელმძღვანელობა ეფექტური ვერ იქნება, რადგან არათუ ახლა, არამედ თავის დროზეც ამ თავკაცს ძეგლების უმეტესობა არც კი მოუნახულებია და არ იცის ადგილზე რა ხდება...

რაოდენ დასანანია, რომ დღეს, მშვიდობიან პერიოდში, ზიანდება ჩვენი მამა-პაპათა უძვირფასესი ნახელავი. დღეს ვერც შაჰ-აბასი და ვერც აღა-მაჰმად ხანი ვერ შერისხავს ჩვენს ეკლესია-ტაძრებს, თუ ჩვენ თვითონ არ ხელვყავით. რაიონების უმთავრესი ძეგლები კი ღვთის ანაბარად არის მიტოვებული და ნადგურდება არა მარტო ბუნების მოვლენებისაგან, არამედ ადამიანთა გაუთვალისწინებელი თუ გათვალისწინებული ჩარევის შედეგად.

და ბოლოს, ამით არ ამოიწურება ამჟამად ჯავისა და ზნაურის რაიონებში კულტურის ძეგლთა საგანგაშო და არადამაკმაყოფილებელი მოვლა-პატრონობა. ყველას და ყველაფრის სამსჯავროზე გამოტანა საჭიროდ არ ვცანით. არც ძეგლების შემბღალავებს და დამნაგვიანებლებს გაგაცნობთ. მთავარი ეს კი არ არის, არამედ დავიცვათ ქართული კულტურის, ხუროთმოძღვრების ძვირფასი მემატიანეები ზოგიერთი ვიგინდარისა და **ნაციონალისტისაგან**. საჭიროა შთამომავლობას შემოვუნახოთ უძველესი არქიტექტურის შესანიშნავი ნიმუშები. კულტურის ძეგლები ერის საუნჯეა და მათ ისევე სჭირდებათ მოვლა და პატრონობა, როგორც ისტორიას. ნუ აღვგვით პირისაგან მიწისა ამ უძვირფასეს მოწმეებს, ქვაში გაცოცხლებულ ისტორიულ მემატიანეებს... დროულად ჩავერიოთ ამ საშვილიშვილო საქმეში და გადავარჩინოთ ქართული კულტურის უნიკალური ძეგლები შიდა ქართლის ტერიტორიაზე. მომავალი თაობები არ გვაპატიებს მას, რის გაკეთებაც დღეს შეგვიძლია...

კობა ხარაძე.

ჯავა — ზნაური, 1983 წლის ივლის-აგვისტო.

P. S. ეს წერილი რედაქციას თითქმის ერთი წლის წინათ ჩაბარდა. ამ ხნის მანძილზე სამეცნიერო ექსპედიცია ჩავატარეთ ცხინვალისა და ლენინგორის რაიონებში, სადაც მატერიალური კულტურის ძეგლების მოვლა-პატრონობა არანაკლებ საგანგაშო მდგომარეობაშია. ამ საკითხზე ცალკე წერილი გვაქვს მომზადებული. აქ მხოლოდ ორიოდე ფაქტს მოვიტანთ: კატასტროფის წინაშეა ყანჩაეთის „კაბენი", საბაწმინდის ტაძარი და სხვა VIII-IX საუკუნეების ძეგლები; სავალალო მდგომარეობაშია XIII საუკუნის ხოფის ეკლესია, ხოლო მისი სატრაპეზო სანახირედაა გამოყენებული; აღმაშფოთებელია ტბეთთან ახლოს მდებარე ეკლესიის ფრესკების მდგომარეობა, აქ დანით არის დაჩიჩქნილი ფრესკებზე გამოსახული სახეები, თვალები, დანითვეა გაკეთებული ჩარჩოები; წირქოლის ეკლესიას მიშენებული აქვს საფერშლო და ბიბლიოთეკა; IX საუკუნის დოდოთის „ცხრაკარას" ეკლესიის ჩუქურთმიანი ქვები მთელს ტერიტორიაზეა მიმოფანტული; ბევრი ეკლესია სახურავის გარეშეა და შიგნით ასწლოვანი ხეებიც კი არის ამოსული... ასე მრავლად შეიძლება ჩამოითვალოს ძეგლთა სავალალო მდგომარეობა ცხინვალისა და ლენინგორის რაიონებში. ამიტომ, ვიდრე გვიან არ არის, მივხედოთ ქართული კულტურის უსიტყვო მემატიანეებს.

1984 წლის სექტემბერი.

ჰონორარი გადაირიცხება მერაბ კოსტავას სახელობის საადგილმამულო ფონდში.

რედაქციისაგან: წერილში მოყვანილი ფაქტები ნურავის გააკვირვებს, სხვაგვარი. მოპყრობა ქართული კულტურის ძეგლებისადმი ხელოვნურად შეკოწიწებულ „სამხრეთ ოსეთში" არც უნდა მოვითხოვოთ. საქართველოს ამ ძირძველ მიწაზე საბჭოთა სინამდვილეში ჩამოსახლებულ სხვა ეროვნების, ამ მიწის არამკვიდრი მოსახლეობისაგან რას უნდა მოველოდეთ. ქართველებიც ვერ პატრონობენ ძეგლებს, რადგან მათ თავიანთი თავი გასჭირვებიათ. თავიანთი პიროვნული და ეროვნული უფლებების დასაცავად უხდებათ ბრძოლა. ეს უფლებები კი წარმოუდგენლად ილახება ჩვენს სამაჩაბლოში — მტრის, დამპყრობლის მიერ „სამხრეთ ოსეთის ავტონომიად" მონათლულში.

სურათებზე: ავნევი, ძვიმლეთი — ეკლესია კოშკითურთ, ნულის ციხისა და სასახლის ნანგრევები, შვიდსართულიანი კოშკის ნანგრევები სოფელ ყორნისში.

წერილები სამაჩაბლოდან

„სამხრეთ ოსეთის ავტონომია" თუ ოსთა ეთნოკრატია?

ეს წერილი გაეგზავნა ჯერ კიდევ საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს, საპარლამენტო კომისიას, რომელიც იკვლევდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სტატუსის საკითხს.

„სამაჩაბლოს სამკვიდროს დაცვის საზოგადოება", რომელიც შედგება შიდა ქართლიდან გამოსული ქართველებისაგან, დაჟინებით მოგმართავთ იმასთან დაკავშირებით, რომ ჩრდილო ქართლში რუსეთის მხრივ 1922 წელს საქართველოს ტერიტორიის ანექსიის პირობებში ძალადობით დაარსებულ ეგრეთწოდებულ „სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში" უხეშად ირღვევა მკვიდრი მოსახლეობის—ქართველობის ადამიანური უფლებები. გაჩაღებულია მათი აშკარა და ფარული გენოციდი, არ ერიდებიან ქართველთა მიმართ ტერორისტულ მუქარას. აღნიშნულ რეგიონში მოშლილია ეკონომიკა, მძვინვარებს კორუფცია, ხოლო პოლიტიკური ვითარება ფეთქებადია, ამ ყველაფრის მიზეზია მახინჯი ადმინისტრაციული სისტემა.

მდგომარეობის გამოსასწორებლად აუცილებელია რადიკალური ზომების მიღება, კერძოდ:

1. რესპუბლიკის ხელისუფლებამ შექმნას რეგიონის მკვიდრი მოსახლეობის უსაფრთხოების გარანტია, მათ კონსტიტუციურად მიენიჭოთ უფლება თავდაცვის ყოველგვარი საშუალებების გამოყენებისა.

2. დაუყოვნებლივ გაუქმდეს „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი", როგორც იურიდიულად და პოლიტიკურ-ეკონომიკურად გაუმართლებელი ადმინისტრაციული ერთეული.

3. მოხდეს დემონტაჟი რეგიონში არსებული მსხვილი სამრეწველო საწარმოებისა (ვიბრომანქანის, ემალმომინანქრებული სადინების, მექანიკური, ავტობუსების შემკეთებელი, ქიმიური ქარხნები, საფეიქრო კომბინატი), რადგან მათთვის მუშათა კონტინგენტის შევსება ხდება სასოფლო-სამეურნეო მუშაკთა ხარჯზე, რაც იწვევს სოფლის მეურნეობის პროდუქციის კატასტროფულად შემცირებას, გარდა ამისა მთიანი რაიონების დაცლას მოსახლეობისაგან. მთის მიტოვებულ ან ნაწილობრივ მიტოვებულ სოფლებში უნდა ჩასახლდნენ საქართველოს სტიქიური უბედურების ადგილების, აგრეთვე ბარში ზედმეტად მჭიდროდ დასახლებული პუნქტების მოსახლეობა.

4. საჭიროდ მიგვაჩნია ცხინვალის პედაგოგიურ ინსტიტუტთან შეიქმნას თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ფილიალი. ცხინვალის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, რომელშიც არც ერთი ქართველი არ მოღვაწეობს, უნდა გაიხსნათ ქართველ მეცნიერებს მშობლიურ ენაზე ამა თუ იმ დარგში სამეცნიერო კვლევისათვის. არა და, ამჟამად აღნიშნული ინსტიტუტის მთავარი „დანიშნულებაა" ქართულ-ოსური ისტორიის გაყალბება.

5. ცხინვალის ქართულ სკოლებში პედაგოგიური მოღვაწეობისათვის უპირატესობა მიენიჭოთ სულით და გულით ქართველ მასწავლებლებს.

6. რეგიონში გამოდიოდეს გაზეთი, რომელსაც სათაურიც ქართული ექნება და შინაარსიც.

7. ცალკე უნდა გამოიყოს ცხინვალის ქართული თეატრი, რომლის ასაკი ას წელზე მეტია, ხოლო ოსური დასი მთავრობის დადგენილებით დაარსდა 1931 წელს.

8. უნდა მოხდეს ძირეული ცვლილებები კადრებში. ხელმძღვანელობაში მაქსიმალურად უნდა მონაწილეობდნენ ადგილობრივი ქართველი პოლიტიკური და სამეურნეო მოღვაწეები.

9. გამოსაძიებელია ფაქტი სოფელ გუჯაბაურსა და ქალაქ ცხინვალს შორის არსებული ქართული სასაფლაოს ვანდალური განადგურებისა, რაც მოხდა გასაბჭოების შემდეგ. ქალაქ ცხინვალში შრომა-გასწორების ბავშვთა კოლონიის გალავანში ჩატანებულია ქართული წარწერებიანი საფლავის ქვები.

10. აუცილებელია, შეწყდეს ყოველგვარი ბეჭდვითი გამოცემები, რომლებიც ეხებიან „სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს", რადგან ხდება მასობრივი გაყალბება-დამახინჯება ისტორიული ფაქტებისა და ტოპონიმებისა.

გ. გილაძე, მ. შერაზადიშვილი, ა. მამუკელაშვილი, თ. საძაგლიშვილი, თ. ნიჟარაძე, ნ. ბეჟუა, დ. ანთიძე, მაისურაძე, ო. ლურსმანაშვილი, ლ. ბაბუაშვილი, ლ. მებადური, ბ. ციციაშვილი, ნ. ბოგინაშვილი და სხვები.

საზღვარგარეთ

ვალენსა პრეზიდენტია

ვარშავა. პროფკავშირ „სოლიდარობის“ თავმჯდომარე ლეხ ვალენსა პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტად აირჩიეს, გუშინ აქ გამოქვეყნებული არჩევნების შედეგების თანახმად, მეორე ტურში 9 დეკემბერს მას ხმა მისცა ამომრჩეველთა 74 პროცენტმა. მისმა მეტოქემ, დამოუკიდებელმა კანდიდატმა ს. ტიმინსკიმ მიიღო ხმების დაახლოებით 26 პროცენტი. არჩევნების მეორე ტურში მონაწილეობა მიიღო რეგისტრირებულ ამომრჩეველთა დაახლოებით 53 პროცენტმა. ლ. ვალენსას წარმატება განაპირობა მოწოდებამ მხარი დაეჭირათ მისი კანდიდატურისათვის, რომლითაც პოლიტიკური პარტიების და ორგანიზაციების უმრავლესობა გამოვიდა, მათ შორის ისინიც, ვინც პირველ ტურში მისი მოწინააღმდეგე იყო.

პოლონეთის წინაშე ამჟამად რთული ამოცანები დგას: ვირწმუნოთ ჩვენი ძალები და მივაღწიოთ წარმატებას, წარმატებას ყველასათვის, თქვა ლ. ვალენსამ არჩევნების წინასწარი შედეგების გამოცხადების შემდეგ ტელევიზიით გამოსვლისას. უწინარეს ყოვლისა, საკუთარ თავს უნდა დავეხმაროთ. სწორედ ამისთვის დაგვაფასებენ ევროპაში. ეკონომიკური თვალსაზრისით განვითარებული პოლონეთი ევროპაში მშვიდობისა და თანხმობის ერთ-ერთი დასაყრდენი იქნება, ღარიბი პოლონეთი კი ყველა საზღვარზე უნდობლობის კედელს წააწყდება.

ბოლო ათწლეულის მანძილზე ჩვენ ყველამ ერთად გადავიტანეთ გარდატეხა ხალხის ისტორიაში, განაგრძო ლ. ვალენსამ. ჩვენს თვალწინ თაობების ოცნებები ახდა, კვლავ მოვიპოვეთ თავისუფლება, მივიღეთ შესაძლებლობა მშვიდობიანად ვეძებოთ გადაწყვეტები; უსისხლოდ, სოლიდარული მოქმედების მეშვეობით მოვიპოვეთ თავისუფალი პოლონეთი. მხოლოდ ჩვენზეა დამოკიდებული, თუ რას გადავაქცევთ მისგან მომავალში. დიდი პასუხისმგებლობა დაეკისრება პრეზიდენტს, ყველა ჩვენგანს.

ჩვენი არქივიდან: პოლონეთის რესპუბლიკის ახალი პრეზიდენტი დაიბადა 1948 წლის 9 სექტემბერს დაბა პოპოვოში გლეხის ოჯახში. 1961 წელს დაამთავრა სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სკოლა, შემდეგ მუშაობდა გდანსკის გემთსაშენში ელექტრიკოსად. 1970 წლიდან გდანსკის საგაფიცვო კომიტეტის ხელმძღვანელია, 1980 წლის აგვისტოსექტემბერში გდანსკის ქარხნებშორისი საგაფიცვო კომიტეტის თავმჯდომარეა. 1980—81 წლებში ხელმძღვანელობდა პროფგაერთიანება „სოლიდარობას“. ქვეყანაში სამხედრო წესების შემოღების შემდეგ 1981 წლის დეკემბრიდან 1982 წლის ნოემბრამდე ინტერნირებული იყო. 1987 წლიდან პროფგაერთიანება „სოლიდარობის“ სრულიად პოლონეთის აღმასრულებელი კომისიის თავმჯდომარეა. 1989 წლიდან კი „სოლიდარობის“ სამოქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე და სრულიად პოლონეთის მშვიდობის კოალიციის საპატიო თავმჯდომარეა. 1988 წელს ლ. ვალენსა ნობელის მშვიდობის პრემიის ლაურეატი გახდა. ჰყავს მეუღლე—მიროსლავა-დანუტა და რვა შვილი.

პოლონეთის რესპუბლიკის ახალი პრეზიდენტი ფიცს დადებს მას შემდეგ, რაც სეიმი ოფიციალურად დაამტკიცებს სახელმწიფო საარჩევნო კომისიის მიერ წარმოდგენილ არჩევნების ოფიციალურ შედეგებს.

ადამიანის უფლებების დღე

ვაერო. გუშინ მსოფლიო გაერთიანებამ ღირსშესანიშნავი თარიღი—ადამიანის უფლებების დღე აღნიშნა. ზუსტად ორმოცდაორი წლის წინათ, 1948 წლის 10 დეკემბერს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო ადამიანის უფლებების დეკლარაცია. მას შემდეგ ეს თარიღი ფართოდ აღინიშნება მთელს მსოფლიოში, როგორც ადამიანი უფლებების დღე. ნიუ-იორკში, გაეროს შტაბბინაში გაიმართა გენერალური ასამბლეის 45-ე სესიის დელეგატთა საზეიმო სხდომა, რომელშიც მონაწილეობდნენ მრავალი ქვეყნის გამოჩენილი დიპლომატები და იურისტები.

წლეულს ადამიანის უფლებების დღეს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, ხაზი გაუსვა თავის მიმართვაში გაეროს გენერალურმა მდივანმა პერეს დე კუელიარმა. მოვლენების განვითარება მსოფლიოში ცხადყოფს მათი პატივისცემის მნიშვნელობას მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნებისათვის. გენერალურმა მდივანმა მიუთითა, რომ ადამიანის უფლებების დაცვის მდგომარეობა ნაწილობრივ გაუმჯობესდა, მაგრამ ამასთანავე დასძინა: „არ უნდა დავივიწყოთ, რომ გრძელი გზაა გასავლელი, სანამ ადამიანის უფლებების პატივისცემა ნამდვილად უნივერსალური გახდება. მისწრაფებებსა და რეალობებს შორის ამ სფეროში ჯერ კიდევ საკმაოდ დიდი უფსკრულია. მხოლოდ მაშინ, როდესაც ადამიანური ღირსებისათვის ბრძოლა წარმატებით დაგვირგვინდება, ჩვენ შეგვიძლია დარწმუნებული ვიყოთ, რომ დედამიწაზე ცივილიზებული სიცოცხლის საფუძველი მტკიცე და ურყევია“.

ახალი პარტიის კონტურები

პრაღა. „სამოქალაქო ფორუმის“ მოძრაობა გარდაიქმნება მემარჯვენე ტიპის პოლიტიკურ პარტიად. ასეთი გადაწყვეტილება მიიღო „სამოქალაქო ფორუმის“ ასამბლეამ, რომელიც უქმე დღეებში ოლომოუცში გაიმართა. მისი მომდევნო სხდომისათვის იანვარში უნდა მომზადდეს ახალი პარტიის პროგრამისა და წესდების პროექტები.

მისი წყობის ძირითადი პრინციპები უკვე მოინიშნა კვირის ასამბლეაზე. პარტიას ექნება მწყობრი ორაგნიზაციული სტრუქტურა, ფედერალურ, რესპუბლიკურ, სარაიონო და ადგილობრივ ორგანიზაციებად დაყოფა. შესაბამისად აიგება მათი მართვაც. პარტიის ხელმძღვანელი ორგანოები იქნება ასამბლეა და აღმასრულებელი საბჭო. კოლეგია სათათბირო ორგანოდ დარჩება.

„სამოქალაქო ფორუმის“ დეკემბრის ასამბლეა, როგორც ჩანს, უკანასკნელია ამ მოძრაობის ისტორიაში, რომელმაც ერთი წლის წინათ პლურალისტურ პლატფორმაზე გააერთიანა განსხვავებული პოლიტიკური ძალები და მოძრაობები. ქვეყანაში შექმნილმა რთულმა ვითარებამ მოძრაობისგან მოითხოვა მეტი ორგანიზაციული სიმწყობრე, ქმედუნარიანობა და სიმკაცრეც კი. მოძრაობის თავმჯდომარემ ვაცლავ კლაუსმა განაცხადა, რომ ახლა უკვე არ შეიძლება ყოფილ რეჟიმთან ერთობლივი ბრძოლის პლატფორმაზე გაერთიანება და აუცილებელია მასობრივი ტიპის პარტიის შექმნა.

„სამოქალაქო ფორუმის“ ლიდერების სოციოლოგიური გამოკვლევების საფუძველზე მიაჩნიათ. რომ პარტიაში შევა მოქალაქეთა დაახლოებით 10 პროცენტი, რომლებმაც არჩევნებზე მოძრაობის წარმომადგენლებს მისცეს ხმა.

ე. შევარდნაძე ამერიკაში ჩავიდა

ჰიუსტონი. საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ე. შევარდნაძე კვირას აქ ჩამოვიდა შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანთან ჯ. ბეიკერთან სამუშაო შეხვედრისათვის.

ორდღიანი მოლაპარაკების დროს ორი ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური უწყებების ხელმძღვანელები განიხილავენ ფართო წრის პრობლემებს, რომლებიც დაკავშირებულია სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების ხელშეკრულების ხელმოწერის მომზადებასთან, რეგიონულ საკითხებს, უწინარეს ყოვლისა, სპარსეთის ყურის რაიონში შექმნილი კრიზისის გამო, ავღანეთში, ანგოლაში მდგომარეობის მოწესრიგებას, აგრეთვე ორმხრივ ურთიერთობებს.

ბრალდების მოწმე

ლონდონი. ოკუპირებულ ქუვეითში ერაყელი ჯარისკაცების მხეცობასა და უკანონო მოქმედებაზე უამბო ჟურნალისტებს ისლანდიელმა ექიმმა გისლი სიგურდსონმა, რომელიც ყოფილი მძევლების ჯგუფთან ერთად იორდანიის დედაქალაქ ამანში ჩავიდა.

„ადამიანებს სრულიად უმიზეზოდ ხოცავენ“, აღნიშნა სიგურდსონმა, რომელიც ქუვეითის ერთ-ერთ საავადმყოფოში მუშაობდა. მას განსაკუთრებით კარგად დაახსომდა ინციდენტი, როდესაც ერთმა ქუვეითელმა უკმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ ერაყელმა ჯარისკაცებმა დაარბიეს პურის რიგში მდგომნი. „მეამბოხე“ რიგიდან გამოათრიეს და ადგილზე დახვრიტეს. ამასთან, აღნიშნა ექიმმა, „ერაყელი ჯარისკაცები ყოველთვის ისე ისვრიან, რომ კი არ დაჭრან, არამედ მოკლან, — არა ფეხში, ან ხელში, არამედ — მკერდში“.

რეიტერის საინფორმაციო სააგენტოს ცნობით, სიგურდსონი საავადმყოფოში ნოემბრის შუა რიცხვებამდე მუშაობდა და ყოველდღიურად იღებდა ათობით ქუვეითელს ცეცხლსასროლი ჭრილობებით. 8 აგვისტოს ერაყის შეჭრის შემდეგ კი დაჭრილთა რიცხვი ასობით იყო. ანგარიშსწორების მსხვერპლნი ხდებიან ბავშვები, ქალები და მოხუცებიც, მიუთითა ექიმმა, — „ერთი წლის ბავშვებიდან ღრმა მოხუცებამდე“.

ფოტოობიექტივის წინ იწონებენ თავს, მართლა მოენატრათ თუ... „ნამდვილი საქმე“, ბრიტანეთის რაინის (გერმანიაში დისლოცირებული) არმიის სატანკო პოლკის ჯარისკაცები აღფრთოვანებით შეხვდნენ სპარსეთის ყურის რაიონში მათი გაგზავნის ცნობას.

დპა-სააგენტოს ფოტო.

საზოგადოება

„პარიზის ქარტია ახალი ევროპისათვის“ და ეროვნულ უმცირესობათა დაცვის პრობლემა

(დასასრული)

აღსანიშნავია, რომ დეკლარაციის პროექტის მე-7 მუხლის ძალით უმცირესობათა წარმომადგენლებს უფლება აქვთ რეგიონალური და შეძლებისდაგვარად ნაციონალური ინსტიტუტების საშუალებით მონაწილეობა მიიღონ იმ საკითხების გადაწყვეტაში, რომლებიც ეხება უშუალოდ მათი საცხოვრებელი რეგიონების ინტერესებს. (პუნქტი ა).

ფრიად მნიშვნელოვანია აღინიშნოს ის გარემოება, რომ ყველა უფლება, რითაც შეიძლება სარგებლობდნენ ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლები, არ უნდა არღვევდეს საერთაშორისო სამართლის ისეთ ძირითად პრინციპებს, როგორიც არის სახელმწიფო სუვერენიტეტი, ტერიტორიული მთლიანობა, საზღვრების ერთიანობა. დეკლარაციის პროექტის მე-5 მუხლის მე-8 პუნქტში ნათქვამია, რომ: მოცემულ დეკლარაციაში არაფერი არ უნდა იქნეს გაგებული, როგორც უფლება ნებისმიერი მოქმედებისა, რომელიც ეწინააღმდეგება გაეროს მიზნებსა და პრინციპებს, კერძოდ, ეწინააღმდეგება სახელმწიფოთა სუვერენიტეტის პატივისცემას, ტერიტორიული მთლიანობისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის პრინციპებს“.

დეკლარაციის პროექტის ეს მუხლი შეესაბამება იმ დებულებებს, რომლებიც მოცემულია 1970 წლის დეკლარაციაში „საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესახებ, რომლებიც ეხება სახელმწიფოთა შორის მეგობრულ ურთიერთობასა და თანამშრომლობას, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შესაბამისად“.

როდესაც ვიხილავთ ეროვნულ უმცირესობათა საერთაშორისო სამართლებრივი დაცვის საკითხებს, არ შეიძლება არ შევეხოთ, თუ რა მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოში, მითუმეტეს თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს უმცირესობანი საკმაოდ არიან წარმოდგენილნი ჩვენს მიწა-წყალზე. ჩვენ სრულიად თამამად შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ საქართველოს რესპუბლიკაში ეროვნულ უმცირესობათა უფლებანი თითქმის არასდროს არ დარღვეულა (თუმცა ეს არ გამორიცხავს, რომ საჭიროა მათი უფლებრივი მდგომარეობის სამართლებრივი წესით დაზუსტება. იმედია, ეს ასახვას პოვებს რესპუბლიკის ახალ კონსტიტუციაში, რომლის შემუშავებასაც უკვე შეუდგა უზენაესი საბჭოს მიერ შექმნილი კომისია).

ამის დასადასტურებლად გავიხსენოთ, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ყველა ეროვნულ უმცირესობას აქვს შესაძლებლობა, გამოიყენოს მშობლიური ენა, გამოსცეს ჟურნალ-გაზეთები, მიიღონ განათლება, ფუნქციონირებდნენ სხვადასხვა კულტურული კერები, მათ შორის თეატრები, სკოლები, უმაღლესი სასწავლებლები. რესპუბლიკის ტერიტორიაზე თავისუფლად მოქმედებენ სხვადასხვა რელიგიური საკულტო დაწესებულებანი.

მისასალმებელია ის ფაქტი, რომ საქართველოს ახლად არჩეულმა უზენაესმა საბჭომ თავის პირველივე სესიაზე ხაზი გაუსვა, რომ რესპუბლიკაში მიმდინარე „საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაციის შეუქცევადი პროცესი სრულად უზრუნველყოფს პიროვნების უფლებათა ხელშეუხებლობას, ყველა სოციალური ფენის ინტერესთა დაცვასა და ეროვნულ უმცირესობათა ყოველმხრივ განვითარებას“ („მიმართვა სრულიად საქართველოს“).

მიმართვაში მსოფლიო ხალხებისადმი, უზენაესმა საბჭომ განაცხადა, რომ რესპუბლიკაში გარანტირებული იქნება „ადამიანის, მოქალაქის, ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვა“

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სრულებით გამართლებულად უნდა ჩაითვალოს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1990 წლის 22 ნოემბრის დადგენილება, რომლის ძალითაც გაუქმებულია სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს დადგენილება ავტონომიური ოლქის ე. წ. სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიულ რესპუბლიკად გარდაქმნის შესახებ.

აღნიშნული დადგენილების გაუქმებასთან ერთად ფრიად მნიშვნელოვანია, რომ რესპუბლიკის უზენაესი საბჭო კვლავ ადასტურებს თავის გადაწყვეტილებას, დაიცვას საქართველოში მცხოვრები ყველა ეროვნული უმცირესობის უფლებები საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების შესაბამისად.

9 დეკემბერს გამოქვეყნებულ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მიმართვაში სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მოსახლეობისადმი ახალი ხელისუფლება აცხადებს, რომ „მტკიცედ დაიცავს საქართველოს მიწა-წყალზე მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა კანონიერ ინტერესებს, არ დაუშვებს ეროვნული ურთიერთობის საკითხთა მოგვარებისა და გადაწყვეტისას საერთაშორისო სამართლის ნორმებით აღიარებული პრინციპებიდან არავითარ გადახვევას“.

დასასრულს კვლავ მინდა მოვიყვანო ციტატა „პარიზის ქარტიიდან ახალი ევროპისათვის, „სადაც თათბირის მონაწილე სახელმწიფოები აცხადებენ: „საკითხები, რომლებიც ეროვნულ უმცირესობებს შეეხება, შეიძლება გადაწყდეს დამაკმაყოფილებლად მხოლოდ დემოკრატიულ პოლიტიკურ ფარგლებში“.

P.S.

პარიზის ქარტიის შესაბამისად, 1991 წლის 1-19 ივლისს ჟენევაში მოეწყობა ექსპერტთა თათბირი ეროვნულ უმცირესობათა საკითხებზე. სასურველია ამ თათბირში მონაწილეობა მიიღონ საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლებმაც.

დავით კოპაძე,
თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის კათედრის ასპირანტი.

საკუთარ სახლში

აქცია შეწყდა

თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ეროვნული თეატრის შენობის გვერდით მდებარე სკვერი დაცარიელდა. საქართველოს „მხედრიონის“ წარმომადგენლებმა შეწყვიტეს აქ მიმდინარე შიმშილობის აქცია. ამის შედეგად ანალოგიური აქცია შეწყვიტეს სრულიად საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოების წევრებმა. მაგრამ მთავრობის სახლის შენობის წინ კვლავ გაშლილია მათი კარვები.

— ჩვენი მოთხოვნების არსია ახალი მთავრობისათვის მუშაობის ნორმალური პირობების უზრუნველყოფა, — თქვა აქციის ერთმა მონაწილემ გია ჩხიკვაძემ. — მაგრამ იგი არ სრულდება. ამის დასტურია საგანგაშო სიტუაცია თბილისში. ღამით ხომ აქა-იქ სროლის ხმა ისმის. მოსახლეობის ხელში იარაღი დაგროვდა. სამაჩაბლოდან მოვიდა ამბავი, რომ იქ კვლავ მღელვარებაა. ამიტომაც ვართ აქ და საჭიროების შემთხვევაში იძულებული ვიქნებით კვლავ დავიწყოთ შიმშილობა.

რიმა შელია,
სს „საქართველო“.

მიტინგი თბილისის უნივერსიტეტთან

შიმშილობა, რომელიც 5 დეკემბერს გამოაცხადეს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს დედაქალაქის ზოგიერთი სხვა უმაღლესი სასწავლებლისა და ტექნიკუმის სტუდენტებმა, შეწყდა მეექვსე დღეს, 16 საათზე. ეს განაცხადეს 10 დეკემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის მახლობლად მდებარე სკვერში გამართულ მიტინგზე. საქართველოს ეროვნული კონგრესის მიერ ორგანიზებული მიტინგი მიეძღვნა ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღეს.

როგორც მიტინგზე აღინიშნა, შიმშილობის შეწყვეტის საფუძველი გახდა მრგვალი მაგიდისა და საქართველოს ეროვნული კონგრესის წარმომადგენელთა შეხვედრა. მან დასაბამი უნდა მისცეს კონსტრუქციულ მოლაპარაკებას, მათ შორის იმ პრობლემებზე, რომლებიც მოშიმშილეებმა წამოაყენეს როგორც ძირითადი მოთხოვნები — საქართველოში მყოფი საბჭოთა არმიის ნაწილების საოკუპაციო სტატუსის აღიარება და საქართველოს დეოკუპაციის საკითხის უსწრაფესად დაყენება.

მიტინგზე გამოვიდნენ საქართველოს ეროვნული კონგრესის წარმომადგენლები, რომლებმაც ილაპარაკეს დღევანდელ პოლიტიკურ სიტუაციაზე, რესპუბლიკის ავტონომიურ ფორმირებებში შექმნილ რთულ ვითარებაზე.

დევი ბერძენიშვილი,
სს „საქართველოს“ კორ.

ნახევარი საუკუნე სცენაზე

ამ დღეებში თელავის საზოგადოებრიობამ ზეიმით აღნიშნა რესპუბლიკის სახალხო არტისტის გიორგი მამუჩიშვილის დაბადებიდან სამოცდაათი და სასცენო მოღვაწეობის ორმოცდაათი წლისთავი.

მსახიობმა მრავალი როლი განასახიერა ქართული თუ უცხოური კლასიკური დრამატურგიიდან, მაგრამ, როგორც თვით ღვაწლმოსილი ხელოვანი აღნიშნავს, მისთვის განსაკუთრებულად ახლობელი და სამახსოვროა ერეკლე მეორისა და ილია ჭავჭავაძის სახეები. თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის დრამატული თეატრის ერთ-ერთი უხუცესი მსახიობი კვლავ ახალგაზრდული ენერგიით ივსება.

ზურაბ არსენიშვილი,
ჩვენი საკ. კორესპონდენტი.

სპორტი

ანაპურნა ასე ახლოა...

ქართველ მთამსვლელთა დიდი ხნის ოცნება — დაელაშქრათ ჰიმალაის მწვერვალები, — ყოველდღიურად სულ უფრო რეალური ხდება. იმის ყველა წანამძღვარია, რომ ეს ექსპედიცია 1991 წლის გაზაფხულზე შედგება, ამ პერიოდისათვის დაგეგმილია ქართველ ალპინისტთა პირველი დამოუკიდებელი ასვლა დედამიწის ერთ-ერთ ყველაზე რთულ რვაათასიან მწვერვალზე ანაპურნაზე (8.091 მეტრი).

ჰიმალაიში საქართველოს პირველი ექსპედიციისათვის მზადების შესახებ გვესაუბრება მისი ხელმძღვანელი, ალპინისტური კლუბის „კავკასიონის“ პრეზიდენტი ზიზი ქართველიშვილი:

— ჰიმალაისთან შეხვედრა ყველა ალპინისტის სანუკვარი მიზანია, — თქვა მან, — მთების ამ მძლავრი მასივის მწვერვალის დალაშქვრა სპორტსმენთა კლასის შეფასების ძირითად კრიტერიუმად ითვლება. საქართველოში ყოველთვის იყვნენ მაღალი კვალიფიკაციის მთამსვლელები. გიორგი ნიკოლაძემ, ალიოშა ჯაფარიძემ, გაბრიელ ხერგიანმა, ბეჟნუ ხერგიანმა, ნიკო მარმა, ჯუმბერ მეძმარიაშვილმა, თეიმურაზ კუხიანიძემ, მიხეილ ხერგიანმა და მათმა მრავალმა მიმდევარმა დიდი წარმატებები მოიპოვეს კავკასიონის, პამირისა და ტიან-შანის მთებში, ისინი დღესაც აღაფრთოვანებენ ყველას თავიანთი ვაჟკაცობითა და სიმამაცით. ჯერ კიდევ 1957 წელს ჰქონდათ ქართველ ალპინისტებს ჰიმალაიზე ასვლის შესაძლებლობა. მაგრამ მაშინ ტიბეტში არასტაბილური პოლიტიკური ვითარების გამო ჩანაფიქრის განხორციელება ვერ მოხერხდა. ამის მიუხედავად, კვლავ ცოცხლობდა ჰიმალაის რვაათასიანი მწვერვალების დალაშქვრის ოცნება.

— ვიქონიოთ იმედი, რომ ალპინისტთა ახლანდელი თაობა მოახერხებს განახორციელოს სახელგანთქმულ წინამორბედთა ოცნება?

— უკანასკნელ წლებში ქართულ ალპინიზმში მოვიდა ღირსეული ახალგაზრდა შევსება თბილისიდან, ქუთაისიდან, რუსთავიდან და სვანეთიდან. რესპუბლიკის ნაკრების შემადგენლობაში მათ შეასრულეს ურთულესი ასვლები პამირისა და ტიან-შანის შვიდიათასიან მწვერვალებზე, შესწევთ უნარი დალაშქრონ ჰიმალაის მთებიც.

— მაგრამ, რამდენადაც ცნობილია, ამისათვის ნეპალის მთავრობის ნანქცია საჭირო.

— ამ ქვეყნის ტურიზმისა და სპორტის სამინისტროსთან 1988 წელს დაწყებულმა მოლაპარაკებამ დადებითი შედეგები მოგვიტანა: აგვისტოში ჩვენმა ალპინისტებმა მიიღეს ოფიციალური მოწვევა მომავალი წლის გაზაფხულზე დასახული მიზნის განხორციელებისათვის.

— რა პრინციპით დაკომპლექტდა საქართველოს ჰიმალაის პირველი ექსპედიცია?

— იგი შედგენილია ალპინისტური კლუბის „კავკასიონისა“ და არმიელთა სპორტული კლუბის ბაზაზე. შერჩეულია 18 კანდიდატი. შერჩევის დროს მთავარი კრიტერიუმები იყო სულ ცოტა ორი ასვლა შვიდიათასიან მწვერვალებზე და თითოეულის პირადი სპორტული მონაცემები. ამჟამად ყველანი ემზადებიან კლდემსვლელობაში, მონაწილეობენ საწვრთნელ ასვლებში კავკასიონზე. მადლობას ვუხდით წყალქომარდობის ცენტრალური კომპლექსისა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი კოოპერატივის „ეტალონის“ კოლექტივებს, რომლებმაც ზოგად-ფიზიკური და სპეციალური მომზადების ყველა პირობა შეგვიქმნეს.

— ვინ ემზადება ანაპურნაზე ასვლისათვის?

— ექსპედიციის ხელმძღვანელის მოადგილე რომან გიუტაშვილი — ქვეყნის ერთ-ერთი უძლიერესი მთამსვლელი, სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი. დანარჩენ მონაწილეებს დავასახელებ ანბანის მიხედვით. ესენი არიან: თბილისელები ზურაბ ასტახიშვილი (ექიმი), ბიძინა გუჯაბიძე, გია დვალი, გია თორთლაძე, დავით იოსელიანი, სანდრო კობაიძე, ავთანდილ მოკვერაშვილი, გელა ოთარაშვილი, ლევ სარქისოვი, თამაზ შარაშენიძე და დავით ჩანტლაძე, ქუთაისელები ამირან დოლიძე და მერაბ ნემსიწვერიძე, ბენო ქაზაკაშვილი რუსთავიდან, აპი გიგანი და იდის ხერგიანი სვანეთიდან. სხვათა შორის, ჩვენი გუნდი ახალგაზრდაა. მისი საშუალო ასაკი დაახლოებით 32 წელია.

— როდის აპირებთ ნეპალში გამგზავრებას?

— ამ დღეებში ნეპალიდან დაბრუნდა ჩვენი ექსპედიციის ორი წევრი: მათ მომავალ ასვლასთან დაკავშირებული მთელი რიგი ორგანიზაციული საკითხები გადაწყვიტეს კატმანდუში. განსაზღვრეს ექსპედიციის ჩატარების კონკრეტული ვადები. ნეპალში თებერვლის ბოლოს გავემგზავრებით. ასვლა დაგეგმილია 20 აპრილიდან 15 მაისის ჩათვლით. ანაპურნა მდებარეობს ცენტრალურ ჰიმალაიში, დედამიწის მთავარი მწვერვალის ევერესტის დასავლეთით. ჩვენი მარშრუტი ჩრდილოეთი მხრიდან გავა. უკანასკნელი საბაზო ბანაკის დაცემას ვაპირებთ 7700-7800 მეტრ სიმაღლეზე. მწვერვალზე ასვლას და ჩამოსვლას დაახლოებით ათ დღეს მოვუნდებით. ექსპედიციაში მონაწილეობას მიიღებენ ადგილობრივი შერპების ტომის მემაღლივე მთამსვლელები, კავშირგაბმულობის ოფიცერი და ალპინისტური ტვირთის მზიდავები, სულ დაახლოებით ორასი კაცი. სხვათა შორის, არსებული წესების მიხედვით ჩვენთან ერთად მწვერვალზე ასვლა შეუძლიათ შერპებსაც, რომლებიც ამ მომენტისათვის საიერიშოდ მზად იქნებიან.

— შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ყველაფერი თქვენი გეგმის მიხედვით მიმდინარეობს?

— როგორ გითხრათ. მზადებაში გვეხმარებიან საქართველოს სპორტსახკომი და ალპინიზმის ფედერაცია, საქართველოს ა. ჯაფარიძის სახელობის რესპუბლიკური ალპური კლუბი. მაგრამ მთავარი დაბრკოლებაა საჭირო სახსრების უქონლობა. წინასწარ დაგვპირდნენ დახმარებას ფინანსთა სამინისტრო, რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, „საქიმექსი“. პირველი ქართული ჰიმალაის ექსპედიციისადმი დიდი ინტერესი გამოიჩინა ავსტრიის „აბვ“ ფირმამაც, რომელიც სასტუმროებს აშენებს საქართველოში. მაგრამ, ჯერ-ჯერობით, დაპირებები დაპირებად რჩება. ჩვენ კი უკვე დაგვიდგა გადამწყვეტი ფაზა, და მოსამზადებლად ორ თვეზე ოდნავ მეტი დაგვრჩა. თანაც, დაპირებულ სახსრებს შეუძლიათ დაფარონ საექსპედიციო ხარჯების მხოლოდ ნახევარი. ჩვენ ხომ გადასაწყვეტი გვაქვს მრავალი სხვა პრობლემა, რომლებიც დაკავშირებულია ეკიპირებასთან, ტრანსპორტირებასთან, კვებასთან... მარტო რესპუბლიკის სპორტსახკომისა და ალპინიზმის ფედერაციის ძალისხმევა არ არის საკმარისი. საჭიროა სასწრაფოდ შეიქმნას ავტორიტეტული ორგანო, რომელიც შეძლებს იკისროს მაკოორდინებელი როლი ყველა საკითხის გადაწყვეტაში.

რამდენიმე ათეული წელი ელოდნენ ქართველი მთამსვლელები ჰიმალაის ექსპედიციას... და, ბოლოს, მათ მიეცათ ნანატრი ოცნების ასრულების რეალური შანსი. ანაპურნა უკვე არც ისე შორია, მაგრამ იგი შეიძლება კვლავ შორეულ ოცნებად დარჩეს, რადგან ექსპედიციას ჩაშლის საფრთხე ემუქრება უსახსრობის გამო. ამის დაშვება კი არაფრით არ შეიძლება: ანაპურნაზე ასვლა ეროვნული მნიშვნელობის საქმეა.

შალვა შალოლაშვილი,
სს „საქართველოს“ კორ.

რინგზე გამოდიან ჭაბუკები

ბაზეთ „ვეჩერნი ტბილისის“ პრიზზე ჭაბუკ მოკრივეთა ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობისათვის საქართველოს დედაქალაქში მეცხრედ ჩამოვლენ სხვადასხვა ქვეყნის ახალგაზრდა მოკრივეები. ასპარეზობა სპორტის სასახლეში 12 დეკემბერს დაიწყება და სამ დღეს გასტანს.

ტურნირში მოელიან ბულგარეთის, ვენესუელის, გერმანიის, ჰოლანდიის, კუბის, პოლონეთის, რუმინეთის, სსრ კავშირის, თურქეთის, ფინეთის, ჩეხეთ-სლოვაკეთის ფედერაციული რესპუბლიკის სპორტსმენების მონაწილეობას, იტალიის გუნდი კი უკვე გადის წვრთნას ეშერაში. საქართველო, როგორც ყოველთვის, ასპარეზობაზე ცალკე გუნდად არის წარმოდგენილი. გუნდს ავარჯიშებს როლანდ კვაჟაძე, მისი ძმა დავით კი — წარსულში სახელგანთქმული მოკრივე — ასპარეზობის მთავარი მსაჯია.

მონაწილეთა ასეთი წარმომადგენლობითი შემადგენლობა გახაგებია: განვლილ წლებში თბილისის ტურნირმა დიდი სპორტის საგზური მისცა ამჟამად ისეთ ცნობილ მოკრივეებს, როგორებიც არიან არმენ ბურდიანცი, კონსტანტინე ცძიუ და მრავალი სხვა. უეჭველია, რომ წლევანდელი ასპარეზობაც გახდება ტრამპლინი ნორჩი სპორტსმენებისათვის და გვინდა იმედი ვიქონიოთ, რომ მათ შორის ქართველი მოკრივეებიც იქნებიან.

ჩვენი რესპუბლიკის გუნდი წარმოდგენილია ევროპის ახალგაზრდული პირველობის გამარჯვებულებით როლანდ ფალიანით (51 კილოგრამამდე წონითი კატეგორია) და პაატა გვასალიათი (57 კილოგრამამდე), აგრეთვე მთელი რიგი ნაკლებად გამოცდილი, მაგრამ არანაკლებ ნიჭიერი და პატივმოყვარე მოკრივეებით. ტურნირის პრიზებს გათამაშებენ თორმეტივე წონით კატეგორიაში.

სს „საქართველო“.

ტელევიზია

სამშაბათი, 11 დეკემბერი

თბილისი

პირველი პროგრამა. 10.00— საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველი მოწვევის პირველი სესიის მორიგი სხდომა. 13.00 — ნაშუადღევს. 13.50 — ათლეტიზმი. 16.00 — საინფორმაციო გამოშვება. 16.10 — საქართველო და გარე სამყარო (გამეორებით). 16.45 — ქართული მხატვრული ფილმი „მარი ხვიტია“. 18.05 — კინოჟურნალი „მინდა, ყველაფერი ვიცოდე“. 18.15 — მოსწავლეთათვის — გასტროლები სამშობლოში. 19.00 — განცხადებები. 19.05 — პოეზია — ელენე დიდიმამიშვილი. 19.15 — ხალხური შემოქმედება — კონცერტი. 19.45 — ძილისპირული. 20.00— მოამბე. 20.35 — ახალგაზრდობისათვის — დ. ბარქაიას გახსენება. 21.00 — ვრემია (მ). 21.40 — პროგრამა „ომეგა“. 22.50 — ქართული სატელევიზიო მუსიკალური ფილმი „მაია თომაძე“. 0.10 — ქრონიკა.

მეორე პროგრამა. 14.25 — მხატვრული ფილმი „გველის ვენის ჯადო“. 16.05 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „დავით ბადრიძე“. 16.25 — მხატვრული ფილმი „ფანტაზია სიყვარულის თემაზე“ (ქართულ ენაზე). 17.40 — მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ქალბატონი-გლეხის გოგო“.

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 6.30 — „120 წუთი“. 8.30 — მხატვრული ტელეფილმი „შანტაჟი“. II და III სერია. 11.30 — ბავშვის საათი. 12.30 — „ვრემია“. 13.00 — კოლაჟი. 13.05 — მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში. 13.20 — „ეს იყო... იყო“. 16.30 და 0.15 — ახალი ამბების სატელევიზიო სამსახური. 16.45 — მულტფილმი. 17.05 — „გამარჯობა, მუსიკავ“! ტელეხიდი მოსკოვი — ვარშავა. 18.20 — მეცხრე სტუდია. 19.20 — რუსეთის საპარლამენტო მოამბე. 19.30 — მხატვრული ტელეფილმი „შანტაჟი“. III სერია. 21.00 — „ვრემია“. 21.40 — კონცერტი. 22.20 — ფეხბურთი. უეფას თასი. მერვედფინალი. საფრანგეთის „მონაკო“ — მოსკოვის „ტორპედო“.

მეორე პროგრამა. 8.00 — დილის ვარჯიში. 8.15 — კინოსტუდია „ლენნაუჩფილმის“ ფილმები. 8.35 და 9.35 — ფიზიკა. XI კლასი. სინათლის ტალღური და კვანტური თვისებები. 9.05 და 10.05 — ფრანგული ენა. 10.35 და 11.35 — გეოგრაფია. VII კლასი, სამხრეთ ამერიკის გამოკვლევა. 11.05 — თეატრი „ბასტი — ბასტერენგი“ (საფრანგეთი). 12.05 — მღერის ალექსანდრე ლევშინი. 12.25 — პოლტავის სამხატვრო მუზეუმი. 12.50 — რიტმული ტანვარჯიში. 13.20 — განმეორებითი ტელეფილმის სეანსი. „საიდუმლო ამბები“. V სერია. 18.25 — კოლაჟი. 18.30 — „ვრემია“. 19.00 — ჰოკეი. ამხანაგური შეხვედრა. კანადის „მონრეალ კანადიენსი“ — ვოსკრესენსკის „ხიმიკი“. შესვენებისას (20.10) — „ძილი ნებისა, პატარებო!“. 21.00 — ა. პეტერსონი — № 7 სიმფონია. 21.40 — საინფორმაციო პროგრამა. 23.40 — სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს სესია.

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი

მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26;
წერილების განყოფილება 99-73-24.
იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო
კორპუსში, ხოშარაულის ქ. № 29.
ინდექსი 60484

საქართველოს რესპუბლიკა